140
972/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4
1972

ჯამანჯა

ჯერ ნელი შეუჯოვარია სწავლაში, შრომასა და სპორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარია
პრილეჟაევა

ჯეგოსტვევა სოკოლნიკში

მხატვარი
ჯურაბ ფოლრჩხიძე.

11844

ნაწყვეტი მოთხრობისა „ლენინის ცხოვრება"

ვლადიმერ ილიას ძის ავადმყოფობის დროს, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მალავდა შიშსა და წუხილს, თავი ისე ეჭირა, გეგონებოდათ, ქვისგან არის გამოთლილიო. მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე ფეხზე წამოდგა თუ არა, თვითონ გახდა ავად. სულიერი დაძაბულობის შედეგად კვლავ წამოყო თავი მისმა ძველმა სნეულებამ. გამუდმებით სწიწკნიდა და სწიწკნიდა გული, ვერც დადიოდა, ვერც წვებოდა, ერთთავად სული ეხუთებოდა. ექიმებმა თქვეს: თუ რამე უშველის, მხოლოდ სუფთა ჰაერი უშველისო.

ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘ

4

ᲐᲠᲘᲚᲘ

1972

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორგ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის

გამომცემლობა

იმუამად ჩვენში სანატორიუმები არ იყო, მაგრამ ფიზიკურად სუსტი ბავშვებისათვის სოკოლნიკში, მოსკოვის გარეუბანში, სატყეო სკოლა არსებობდა. სკოლის შენობა ძველი პარკის შუაგულში იდგა, ტრამვაის ხმაური იქამდე ვერ აღწევდა, სუფთა ჰაერი კი, რამდენიც გნებავდათ, იმდენი იყო — მთელი ოკეანე.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული დაითანხმეს — სანამ მომჯობინდებოდა, იქ ეცხოვრა.

ლენინი სატყეო სკოლაში პირველად რომ მივიდა, რათა გაეგო, სად მოუწევდა ყოფნა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, მისკენ ბავშვების ჯგუფი გამოქანდა. ყველაზე წინ კუდაპრეხილი ფინია მორბოდა.

— ნება მომეცით, გაგეცნოთ. რა გქვიათ? — ჰკითხა მას ვლადიმერ ილიას ძემ.

— ბობკა ჰქვია, ბობკა! — აღტაცებით შესძახეს ბავშვებმა.

— ბატონი ბობჩინსკი, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ და ფინიას ხელი გაუწოდა. ფინიამაც, თავის მხრივ, თათი გაუშვირა. აღფრთოვანებულმა ბავშვებმა სიხარულისაგან არ იცოდნენ რა ექნათ, კიდევ რითი გაეკვირვებინათ ვლადიმერ ილიას ძე. მალე, თავიანთი საყვარელი კატა მუსკაც მოარბენინეს. ლენინმა გადაწყვიტა, რომ ამ მხიარულ გოგო-ბიჭებთან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული თავს კარგად იგრძნობდა, და მან იგი სატყეო სკოლაში მიიყვანა.

ლენინს ერთი წუთითაც არ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოცლა. დილიდან შუაღამემდე გადაუდებელი საქმეებით იყო დატვირთული. ლენინი სახელმწიფოს მართავდა.

მაგრამ საღამოობით მაინც გამონახავდა ხოლმე დროს ერთი საათით და გილს ეტყოდა:

— მოდი, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ვინახულოთ, ჰა?

დადგა ზამთარი. მოსკოვი თეთრ საბურველში გაეხვია. მეფორნეები ველარ აუდიოდნენ ქალაქიდან თოვლის გატანას. ქუჩებში თითქმის ორი სართულის სიმაღლე ნამქერი დახვავებულიყო.

1919 წლის იანვრის ერთ ასეთ თოვლიან დღეს სატყეო სკოლაში ნაძვის ხის ზეიმი იყო დანიშნული. ვლადიმერ ილიას ძე დაჰპირდათ, მოვალო ზეიმზე. სანამ შებინდდებოდა, მარია ილიას ასულთან შეიკრიბნენ. იქიდან ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისათვის პატარა ბიდონით რძე წამოიღეს და გზას გაუდგნენ.

როგორც ყოველთვის, მანქანას გილი მართავდა. ერთი ამხანაგიც ახლდათ, გვარად ჩებანოვი. იგი ჩეკისტი იყო და ვლადიმერ ილიას ძეს ყველგან თან დაჰყვებოდა მცველად.

მშვენიერი დარი იდგა. ხალხი ბლომად იყო ქუჩებში, რომლებიც ნამქერს ისე დაევიწროებინა, რომ ტრანშეები გეგონებოდა. ალაგ-ალაგ ვერც კი გაივლიდი. მაგრამ გილს მანქანა მარჯვედ მიჰყავდა ადამიანებსა და თოვლის გორებს შუა. არსად არ დაბრკოლებულან.

უეცრად, სოკოლნიკში შესვლისას, რკინიგზის ბონდთან, სადაც კაცის ჭაჭანება არ იყო, სამმა უცნობმა გზა გადაუღობათ.

— სდექ, თორემ გესვრით!

გილს უნდოდა წინ გაჭრილიყო, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძემ უბრძანა, გააჩერეო. ვლადიმერ ილიას ძეს ისინი მილიციელები ეგონა. ომის დროა და მილიციელები მოვალენი არიან, ვინც ქალაქიდან გავა, ყველა შეამოწმონო. ფორმა არ ეცვათ, მაგრამ ეს არაფერი — მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული მილიციელის ფორმა.

ავტომობილი გაჩერდა თუ არა, სამი ზორბა ტანის მამაკაცი უმალ გარს შემოეხვია, კარები გამოაღეს და შიგ მყოფთ რევოლვერები მიუშვირეს:

— გადმოდით!

ყველანი გადმოვიდნენ.

— მე ლენინი ვარ, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ.

მას ისევ მილიციელები ეგონა უცნობები. მაგრამ ეს რა ამბავია? ორმა მათგანმა ვლადიმერ ილიას ძეს საფეთქლებზე ელვის უმალ რევოლვერის ლულები მიაბჯინა. ვლადიმერ ილიას ძე გრძნობდა ცივი ლითონის შეხებას. მესამემ, ბოხოხიანმა, ფერმკრთალი, თავხედური სახე რომ ჰქონდა, მგზავრებს სწრაფად ამოუჩხრიკა ჯიბეები, კრემლის საშვები და პატარა, ლენინისეული ბრაუნინგი წაართვა.

— რა უფლება გაქვთ? — აღშფოთებით შესძახა მარია ილიას ასულმა. — გვაჩვენეთ თქვენი მანდატები.

— ჩვენ მანდატები არ გვჭირდება. ჩვენ ყველაფრის უფლება გვაქვს.

ბანდიტები მანქანაში შეცვივდნენ და გააქროლეს, თან, სანამ თვალს მიეფარებოდნენ, რევოლვერებიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმუქრებოდნენ. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გონს მოსვლა ვერავინ მოასწრო.

ვლადიმერ ილიას ძე რამდენიმე წამი აღშფოთებული დუმდა. შემდეგ საყვედურით წარმოსთქვა:

— ვაი, სირცხვილო! ამდენ ხალხს მანქანა წაგვტაცეს.

— ვლადიმერ ილიჩ! მე მათ იმიტომ არ ვესროლე, რომ მეშინოდა არ მოეკალით, — ფიცხად მიუგო გილმა.

— ჰო, კაცმა რომ თქვას, აზრი არ ჰქონდა მათთან შებმას, მეტისმეტად უთანაბრო იყო ძალები, — დაეთანხმა ვლადიმერ ილიას ძე.

მერე ამხანაგ ჩებანოვს შეხედა და ხარხარი აუვარდა. და მერე, რა ხარხარი! მარია ილიას ასულსა და გილსაც გაეცინათ უნებლიეთ. არ იცინოდა მხოლოდ ჩებანოვი. იდგა გაოგნებული, ცალ ხელს ჯიბეში იარაღს უჭერდა, მეორე ხელით კი რძიანი ბიდონი ეჭირა.

ჩებანოვს სირცხვილისაგან ხმა ვერ დაეძრა. ვლადიმერ ილიას ძე კი არ ცხრებოდა:

— გმადლობთ, რომ რძე მაინც შეინარჩუნეთ. ბიდონიც ხომ, ასე თუ ისე, საჭირო ნივთია.

ასე, ჩებანოვზე სიცილ-ხარხარით, ყველანი სოკოლნიკის რაისაბჭოსკენ გაემართნენ, რომელიც რკინიგზის ბონდის ახლოს იყო. რაისაბჭოში ვლადიმერ ილიას ძეს მანქანა უშოვნეს და მარია ილიას ასულთან ერთად სატყეო სკოლაში მიიყვანეს. მომხდარი ამბავი მაშინვე ძერჟინსკის აცნობეს. ძერჟინსკის ბრძანებით, ჩეკისტები მყისვე მოეფინენ მთელ მოსკოვს და მალე კიდეც შეიპყრეს მძარცველები.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული აჩრდილივით დადიოდა ოთახში და ხან ერთ ფანჯარას მიადგებოდა, ხან მეორეს, თოვლში ჩაფლული ბაღისკენ შეშფოთებული იყურებოდა.

რატომ იგვიანებს ვლადიმერ ილიას ძე? ნუთუ კიდევ უბედურება მოხდა?

შეშფოთება ბავშვებსაც გადაედოთ და მთელი სკოლა მოიცვა. ნელა, ძალიან ნელა მიიწევდა წინ საათის ისარი.

ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაცის გახარებული ხმა გაისმა:

— მოვიდნენ!

და მართლაც, ეზოდან ვლადიმერ ილიას ძე შემოიჭრა. პალტო გაღეღვოდა, წვერი და წარბები დაფიფქვოდა, ლოყები ულაჟღაუებდა.

— თოვლის პაპა! — აყიყინდნენ ბავშვები, გარს შემოეხვივნენ, ზედ ჩამოეკონწიალნენ.

— გამარჯობა, საყვარელო, კარგო თოვლის პაპავ! შენ ჩვენ ზეიმი მოგვიტანე!

ვლადიმერ ილიას ძემ ახმაურებულ ბავშვებში ძლივს გაიკვლია გზა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულამდე. თავდაპირველად, არ უნდოდა ბანდიტების თავდასხმაზე რაიმე ეთქვა, მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ძალზე შეწუხებული უყურებდა მას, გული რაღაც ცუდს უგრძნობდა.

— არაფერი ისეთი არ მომხდარა, ნადიუშა, სრულიად არაფერი ისეთი.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გაფითრდა, როცა მძარცველების ამბავი მოისმინა. ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო, ბოლოს ესღა თქვა წყნარად:

— კიდევ კარგი, რომ ცოცხალი ხარ.

და გაჩაღდა საერთო მხიარულება. თვითნაკეთი ალმებით, ოქროსფერი ვარსკვლავითა და სათამაშოებით მორთული ნაძვის ხე სკოლის დარბაზის ჭერსა სწვდებოდა, ირგვლივ ზამთრის ტყისა და ხავსის საამო სურნელებას ფანტავდა. ბავშვებმა ნაძვის ხის გარშემო ფერხული ჩააბეს. ვლადიმერ ილიას ძეც ჩაება ფერხულში. ბავშვები მღეროდნენ, მღეროდა ვლადიმერ ილიას ძეც. ითამაშეს კატა-თაგვობია, დამალობანა, თვალხუჭობანა... იმხიარულეს, სანამ ქანცი არ გამოელიათ. აი, ზეიმიც ის იყო!

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კი, რომელმაც იცოდა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ ილიას ძე ბანდიტების რევოლვერებქვეშ სიკვდილის პირისპირ იდგა, თვალმოუცილებლად შეჰხაროდა მას და სიამაყით ფიქრობდა: „შენ უშიშარი ადამიანი ხარ. სწორედ ამიტომა ხარ მხიარულიც“.

თარგმნა ს. ბეჩოელმა.

პიონერული ცხოვრების მატიანე

1926 წელს დაარსდა და გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „პიონერმა“.

1927 წელს თბილისში გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

1930 წლიდან თბილისში მუშაობს აგრობიოლოგიური სადგური, რომელიც 1933 წელს გარდაიქმნა ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურ სადგურად.

1931 წლის 6 ივლისს გამოვიდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პირველი ნომერი.

1933 წლის 12 ივლისს მოსკოვის აეროდრომზე, საჰაერო ფლოტს გადაეცა თვითმფრინავი „პიონერსკაია პრავდა“, რომელიც მოსწავლეთა და პიონერთა თანხებით იყო აგებული.

1934 წლის 19 აპრილს მ. ი. კალინინი ესაუბრა მოსკოველ ფრიადოსან პიონერებს. მიხეილ ივანეს ძემ თქვა: სწავლა საჭიროა, მაგრამ სპორტიც არ უნდა დაივიწყოთ. ჩვენ გვჭირდება ჯანმრთელი, ძლიერი, მამაცი და, რასაკვირველია, მცოდნე ადამიანები. გაიზარდეთ გმირებად.

1934 წლის 4 იანვარს მოსკოვში გაიხსნა ნორჩ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობდნენ 18 ქალაქის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ შამფრიანი

ლალი ჯეიმის ნაჩ

ფოტო თენგიზ გალიაშვილისა.

ამ ცოტაოდენი ხნის წინათ, ერთ ჩვეულებრივ მზიან დღეს, ზუგდიდის ქუჩებში რომ გაგევლო, უთუოდ თვალში მოგხვდებოდა ახალგაზრდების ნაკლებობა. ეს ამბავი ალბათ გაგაოცებდა კიდეც. საქმე ის არის, რომ იმ დღეს ქალაქის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში შეკრებილიყო. სკოლების, საწარმოთა და დაწესებულებათა კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები საქმიანად მსჯელობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებულ წარმატებებზე, სახავდნენ ამა თუ იმ ნაკლის გამოსწორების გზებს. თავიანთი სიტყვა თქვეს პიონერული რაზმეულების წარმოგზავნილებმაც. ისინი უფროს მეგობრებს მოუთხრობდნენ სწავლასა და შრომაში თანატოლთა მიღწევებზე, გულახდილად ანდობდნენ მათ თავიანთ სანუკვარ ფიქრებს, ოცნებებს...

გულს ახარებდა წითელყელსახვევიანთა ნათქვამი. დიდი იყო სურვილი — თითოეული მათგანის სკოლას სწვეოდი, გასცნობოდი მათი რაზმეულების ცხოვრებას, და შემდეგ ყოველივე სხვებისთვის გეამბნა. მაგრამ, საბოლოოდ, ჩვენ მხოლოდ ერთ სკოლას დავსჯერდით. სწორედ ამ სკოლის ნორჩ ლენინელთა საქმიანობაზე გვინდა ცოტაოდენი რამ გიამბოთ, ჩვენო მკითხველო.

ზუგდიდის სკოლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდია მე-2 სამუალო სკოლა. აქ 1100-ზე მეტი მოსწავლე ემზადება ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად. თვალის ერთი გადავლებითაც შეიმჩნევა, რომ მთელ სკოლაში სანიმუშო წესრიგი სუფევს. სამაგალითოა სიცოცხლით სავსე, თვალციმციმა გოგონებისა და ბიჭუნების ურთიერთობა აღმზრდელებთან თუ ერთმანეთთან.

სკოლის პიონერული რაზმეული 650-მდე წევრს ითვლის. იგი ნონა გაფრინდაშვილის სახელობისაა (ამ სკოლაში სწავლობდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი).

— საბჭოთა პიონერიის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებამ უფრო მრავალფეროვანი გახადა ჩვენი რაზმეულის მუშაობა. — გვესაუბრება უფროსი პიონერხელმძღვანელი მადონა მოლაშხია. — მოგეხსენებათ, მოსწავლის უპირველესი საზრუნავი სწავლა და სწავლა გახლავთ. მოსწავლეს ხომ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა იოლი არ არის, რომ „ცოდნის გარეშე არ არის კომუნიზმი". ამიტომაც ჩვენი პიონერები ყოველნაირად ცდილობენ ბეჯითად ისწავლონ, რათა დაეუფლონ მეცნიერებათა საფუძვლებს.

საუბარში ჩაება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, მასწავლებელი ლენა გულუა, შემდეგ რაზმეულის საბჭოს წევრები, რაზმების ხელმძღვანელებიც შემოგვიერთდნენ.

პიონერთა ოთახის მაგიდაზე აწყვია ნორჩების ხელით შედგენილი ალბომები; აქვეა მათი დღიურები, სხვადასხვა სახის ჩანაწერები, გეგმები... ვეცნობით წრეების, კაბინეტების მუშაობას, ვესაუბრებით აღმზრდელ-პედაგოგებს და ჩვენს წინ შემდეგი სურათი იშლება:

სასწავლო წლის პირველივე დღიდან პიონერულმა აქტივმა წამოაყენა ლოზუნგი: „არც ერთი ოროსანი რაზმეულში!" შეიქმნა „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები", რომლებიც სისტემატურად უწევდნენ კონტროლს რაზმების ყოველდღიურ საქმიანობას, პიონერთა აკადემიურ წარმატებას, იწვევდნენ ელვა შეკრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმცროს მეგობრებთან ციცინო ხოშტარია საუბარი ყოველთვის საინტერესო და ასიამოვნოა.

ბებს, ჩამორჩენილებს ჰკიცხავდნენ რაზმეულის და რაზმების კედლის გაზეთებში.

„სასწრაფო დახმარების საგუშაგომ“, რომელსაც რაზმეულის საბჭოს წევრი მარინე ჩიჩუა ხელმძღვანელობს, გარდამავალი ალამი დააწესა იმ რაზმისათვის, რომელსაც არც ერთი ოროსანი არ ეყოლებოდა.

თითოეული რაზმი თავგამოდებით იბრძოდა გარდამავალი ალმის დასაკუთრებისათვის. მისი პირველი მფლობელნი პირველრაზმელები გახდნენ.

ამ რაზმში 37 პიონერია. ამათგან სამს ზოგიერთი სასწავლო საგნის დაძლევა უჭირდა. „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის“ წევრებმა ვლადიმერ შუბლაძემ, მარინე სხულუხიამ, მარინე ჩიჩუამ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ წინ წამოეწიათ ჩამორჩენილი ამხანაგები. გაკვეთილების შემდეგ მათთან ერთად კლასში რჩებოდნენ და გაკვეთილის მომზადებაში ეხმარებოდნენ, ზოგჯერ შინაც აკითხავდნენ.

ერთ-ერთი თანარაზმელი, რუსუდან შეროზია, ხშირად იღებდა არასახარბიელო ნიშანს. გამოირკვა, რომ მას თურმე ძალიან ყვარებია მუსიკა და მუსიკალურ სკოლაში ფრიადზე სწავლობდა. ამ ამბავმა „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი“ დააფიქრა: მაშასადამე, შეუძლია კარგად ისწავლოს, ოღონდ, ეტყობა, სიზარმაცე სძლევს. საჭიროა მაგრად „შევაჯანჯღაროთო“. ადგნენ და რაზმის შეკრებაზე რუსუდანს ასე განუცხადეს: — თუ დღეიდან გაკვეთილის უცოდინარად მოხვალ სკოლაში, შენი მუსიკის მასწავლებელთან მივალთ და ვეტყვით შენს სიზარმაცეზეო. ამ ხერხმა გასჭრა: ის დღე იყო და ის, რუსუდანს ორიანი არ მიუღია.

რაზმეული ხშირად ატარებს კონკურსებს, ვიქტორინებს, აწყობს ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა-საუბრებს. ყოველივე ეს კიდევ უფრო აცხოველებს სწავლის ინტერესს.

ცოდნის ჰორიზონტის გავრცობისათვის, მრავალმხრივ განათლებულ მოქალაქედ გაზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული და სხვა ლიტერატურის კითხვას. წიგნი ხომ ადამიანის ერთგული მეგობარი და კეთილი მრჩეველია. მეორესკოლელმა პიონერებმა კარგად იციან ეს და ამიტომაც ხარბად ეწაფებიან როგორც მშობლიურ, ისე სხვა ეროვნებათა მწერლობის ქმნილებებს. ისინი ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველები არიან. მათი თაოსნობით ბიბლიოთეკაში მოეწყო ზუგდიდის პირველ კომკავშირელებთან — თ. ქუჩულორიასთან, ს. ბაბუნაშვილთან, ლ. კალანდიასთან, მ. ვნუკოვთან, ზ. შენგელიასთან შეხვედრა. ვეტერანმა კომკავშირელებმა ბევრი საინტერესო რამ უამბეს შეხვედრის მონაწილეებს.

VII[1] კლასში. მასწავლებელი ლენა გულუა ამოცანის ამოხსნის სწორ გზას უჩვენებს მარინე სხულუხიას.

საქმიანად, შინაარსიანად მიმდინარეობს რაზმეულის საბჭოს სხდომა. (ცენტრში — უფროსი პიონერხელმძღვანელი მადონა მოლაშხია).

პიონერები არც უმცროს მეგობრებს ტოვებენ უყურადღებოდ. თითოეული რაზმი შეფობას უწევს ოქტომბრელთა ჯგუფებს. პატარებს ასწავლიან ახალ სიმღერებს, ლექსებს, თამაშობებს, უკითხავენ მოთხრობებს, ზღაპრებს, დაჰყავთ თოჯინების

მარინე გოგოხია, ნანი არდია, ვალერი ჯგუნჯგია და ნანა ჯლერია ნორჩი შემოქმედნი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრში, კინოში. სულ ახლახანს ოქტომბრელთათვის გაიმართა მხატვრული დილები: „ჩვენ ოქტომბრელები გვქვია“, „ჩვენ ილიჩის შვილიშვილები ვართ“.

ნაყოფიერად მუშაობს „ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი“. კლუბის წევრებს მეგობრული მიწერ-მოწერა და შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული თბილისისა და სხვა ქალაქების — მოსკოვის 160-ე, ფსკოვის, კიევის, ოდესის, ვლადივოსტოკის, კაუნასის, ბაქოს, ლენინგრადის, სახალინის, მინსკის მე-2 საშუალო სკოლების თანატოლებთან.

ყოველ 23 სექტემბერს, ბულგარეთის პიონერთა ორგანიზაციის დაარსების დღეს, რაზმეულის მოწინავე რაზმი ლაშქრობას აწყობს რუხის ციხეზე და სათანჯოს მთაზე. იქ რაზმელები მეგობრობის კოცონს ანთებენ და პოეზიის საღამოს მართავენ თემაზე: „ვერ შეაჩერებს საზღვრები დღეს მეგობრობის გრძნობას“. აქვე ცხადდება კონკურსი: „ვინ უფრო მეტი იცის საზღვარგარეთელ მეგობრებზე“.

8 თებერვალს კი რაზმეულში ტრადიციულად ტარდება ნორჩი გმირის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ზუგდიდში, მეორე საშუალო სკოლასთან სულ ახლოს, არსებობს საქვეყნოდ ცნობილი ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც არაერთი უნიკალური ექსპონატია დაცული. ალბათ ამ მეზობლობის წყალობითაც არის, რომ ცოდნისმოყვარე მეორესკოლელი პიონერები ცხოველ ინტერესს იჩენენ ჩვენს სიძველეთა მიმართ და მხარეთმცოდნეთა წრის საქმიანობაც მრავალფეროვანია. წრის წევრებმა ი. გვილიამ, ნ. გოგიაშვილმა, ლ. ცანავამ, ნ. ჯლერიამ, ნ. გოგოხიამ, ს. ყუფუნიამ, მ. ფარცვანიამ და სხვებმა საინტერესო ექსპონატებით და ფოტოსტენდებით დაამშვენეს სკოლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი. მშობლიური მხარის უკეთ გასაცნობად ხშირად ეწყობა ლაშქრობები, ექსკურსიები. ერთ-ერთი ასეთი ექსკურსიის შემდეგ VI³ კლასის პიონერებმა რუხის ციხის ჩინებული მაკეტი დაამზადეს.

რაზმეულში ყოველწლიურად ტარდება შიდასასკოლო სპარტაკიადა. ნორჩი სპორტისმოყვარულები ერთმანეთს ეჯიბრებიან ფრენბურთში, კალათბურთში, შაშში, ჭადრაკში, ხელბურთში, პიონერულ ოთხჭიდში. გამარჯვებულ რაზმს ან პიონერს საზეიმოდ გადაეცემა ხოლმე სიგელი, ფასიანი საჩუქარი.

მეხუთეკლასელი იულია ხაზალია ქალაქის თანატოლებს ზორის ჩემპიონია ჭადრაკში.

აგერ, უკვე ოთხი წელია, მეორე საშუალო სკოლის სპორტსმენები ზედიზედ პირველ ადგილს იკავებენ საქალაქო სპარტაკიადაზე.

რაზმეულის ცხოვრებაში დიდი ხალისი შეიტანა სამხედრო-სპორტულმა თამაშმა „ცისკარმა“.

მეორესკოლელებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ენგურჰესის მშენებლებთან. ხშირად ესტუმრებიან ხოლმე ერთმანეთს, ეხმარებიან ერთურთს. პიონერებმა საბერიოს უბანში მშენებლებისათვის 500 ძირი დაფნა დარგეს. ამავე უბნელებს 400 ცალი მხატვრული წიგნი აჩუქეს, ჩაუტარეს ლიტერატურული საღამო თემაზე: „ვუმღერით საბჭოთა საქართველოს“. რეჩხის უბნელებიც ბევრჯერ გაუხარებიათ თავიანთი სტუმრობით, კონცერტებით.

ცხადია, ეს შეხვედრები მხოლოდ საუბრებითა და კონცერტებით როდი ამოიწურება. პიონერები დადიან ჰესის მშენებლობაზე, უშუალოდ ეცნობიან სახელმოხვეჭილ ადამიანებს, იძენენ მათგან ბევრ სასარგებლო თვისებას.

ენგურჰესის მშენებლებმაც დიდი ამაგი დასდეს ნორჩ მეგობრებს — საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულებს სკოლის შენობა ყოველმხრივ გალამაზებული დაახვედრეს.

ეს საქმიანი მეგობრობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ რაზმეულის ცხოვრებაზე, მის საქმიანობაზე.

და სულ მალე, საბჭოთა პიონერიის დიდი იუბილეს დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის მილიონობით ალისფერყელსახვევიანი მოზარდი სამშობლოს საზეიმოდ უპატაკებს, ზუგდიდელ პიონერთა მტკიცე ხმაც გაისმება:

— კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად, მუდამ მზა ვართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

ბაზაფხულის ჰანგები და ფერადები

გაზაფხული

ეს სიმღერა ელერადია,
თითქოს ზუჩის ზარადია,
მიწა ისე ფერადია
და ცა ისე მარადია, —
მზიდან თაფლის სიტკბო წვეთავს,
დგას სურნელი ბაღში ბანგის
და ბუბუნი მწვანე ხეთა
სიმებია გრძნეულ ჩანგის.
მოეძალა ცეცხლი ატამს,
გაიშალა მიწა ზებრად, —
ტყის სიმღერა გულში ატანს,
ველიც ჩუმად ინაზება.
ნაკადული ახალ ამბავს
ზამთრის დღეთა სუსხზე ჰყვება...
ღამით მთვარე ბადეს ლამბავს
ჭრელ და ზღაპრულ სანახებად
დალოცვილო!
როგორ გშვენის
ჰანგები და ფერადები,
მუდამ მათრობ,
მუდამ მშველი
და სიზმრებშიც მელანდები.
რა სუფთა გაქვს
გულიც,
ბაგეც,
ხარ შენთვის და...
არვის ბაძავ,
როგორ იღწვი,
როგორ აგებ
ამ ხელთუქმნელ ფერთა ტაძარს.
მოთმინება შენი გვინდა,
შენი ყალმის ელვარება,
რომ შენსავით ვიდგეთ წმინდად
შექმნის მღელვარ მწვერვალებთან.

ძალავ ბუბენ!

თითბრისფრად მთვარე
შეღებავს მალე
ცაზე გაფენილ ღრუბლების საბანს;
შვიდფერი წვიმა
ეუეუნა თვალებს
მაისის დღეებს სათუთად დაბანს.

მე მიხარია გალობა მიწის;
მე მიხარია კისკასი ზეცის;
რა გასაოცარ ფერებში იწვის
ამ გაზაფხულის ოქრო და ვერცხლი.

მიაპყარ ყური:
ჩუ, ხმაურია!
მუშაკობს ყველა ახლა ხალისით,
მიწა ყვავილით დაფარულია,
ალაგ თოვლისფრით,
ალაგ ალისფრით.
ხედავ?
ღრუბლებსაც ლეგა ცურებით,
რძესავით მოაქვთ მაისის წვიმა!
ყოვლად ძლიერო
ძალავ ბუნების,
მოგვეც ბარაქა
ხმაურის წილად!

მაგონდები, ზაღო!

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ეკატერინე ჭავჭავაძის თაოსნობით აშენდა.

მაგონდება:
ზუგდიდის საოცარი ბაღი,
ხეებს გადამხობილი
ზეცის ლურჯი თაღი.
(იქ, გაზაფხულს აბარია
ჩემი თბილი ბავშვობა,
განა ძველი ზღაპარია,
განა ისე დამშორდა,
რომ არასდროს ვიხილო,
არა!
სულში ჩამცქერის!).
ჰყვავის გრაკვა, ღიღილო,
არის ყვავილთ ნამქერი.
არის ვარდთა-ვარდობა,
ღელვა წრეგადასული.
როცა მომელანდება
ჭავჭავაძის ასული.
მისი მზერა მზრუნველი,
ყოველ ბუჩქზე მლოცველი,
მინდიას გზის მსურველი
და ახდომა ოცნების.
გაზაფხულის ფარჩებად
მისთვის ლექსი ვეცადე, —
მწამს,
მარადის დარჩება
ულამაზეს მებაღედ.

მაგონდება თბილისში
ის, —
ზუგდიდის ბაღი;
იქ
ხეებზე იქსოვება
ზეცის ლურჯი თაღი.

გაზაფხული გიხაროდეს

უნდა გიხაროდეს
ჭრელი მოსასხამი,
ჰანგი დაფენილი
ვარდზე ლოცვასავით.
ფრთები გაფრენილი
უთვლელ ფარდაგებად,
ხეზე აფრენილი
კვირტის ქადაგება.

უნდა გიხაროდეს,
რომ დღეს
ცისკრად ღელავს
მთებსა და მინდვრებზე
აპრილის სიმღერა.

ხიდან რომ ხეებზე
სივრცე იქარგება
და მწვანე ტალღებში
მიწა იკარგება.

ისევ აღორძინდა
ფერი და სურნელი, —
მერცხალი მოფრინდა
სილაღის მსურველი.

ამ ჰანგებს,
ამ ფერებს,
ან კიდევ რაც არი,
ძერწავს გაზაფხული —
უკვდავი მხატვარი.

მუდამ გიხაროდეს,
უნდა გაღელვებდეს,
ეს მზე საოცარი
უნდა გამღერებდეს.

მუდამ გიხაროდეს
ჭრელი მოსასხამი,
ჰანგი დაფენილი
ვარდზე ლოცვასავით.

მხატვარი
გაიოზ
ფოცხიშვილი.

ფოლკა

კარლო ჭაბაჭაძე

მხატვარი ედ. ამგოკაძე

მოთხრობა

თავი პირველი

დილით ადრე გაეღვიძა ბექას. თვალი რომ გაახილა, სიზმარი გაახსენდა, გაეცინა: რა უცნაური ზმანება იყო, მგონი ციხის ნანგრევებზე დავბორიალობდი. იმ ბიჭს რა ერქვა? ჰო, მანუჩარი! ბექა ჩაფიქრდა. მანუჩარს არავის არ ვიცნობ, საიდან გამახსენდა?

მეორე ოთახიდან ელექტროსაპარსავის ზუზუნი შეგესმა, მამა იპარსავდა წვერს. ბექა წამოჯდა საწოლზე და კედლის საათს შეხედა, რვა სრულდებოდა. კვირა დღე იყო, სკოლაში არ ეჩქარებოდა, შეეძლო ენებივრა ლოგინში. კვლავ მიწვა, თან დის საწოლისკენ გაიხედა. მაკას მშვიდად ეძინა. „მაკა თან მახლდა, ლეოც იქ იყო, ბაადურიც. მერე თამრიკომ მოირბინა და თავისებურად აჭიკჭიკდა: რამდენი გეძებეთ, აქ რას აკეთებთო. უცებ ნანგრევებზე პატარა ბიჭი გადმოდგა და მოგვაჩერდა. ფერმკრთალი იყო, სახეზე მწუხარება ეტყობოდა. „ეი, აქ საიდან გაჩნდი, რა გქვია?“ — გასძახა თამრიკომ. „მანუჩარი მქვია, მეგობრებს დავეძებ“, — უპასუხა ბიჭმა ნაღვლიანად. თამრიკომ ჩვენ შემოგვხედა, მერე ბიჭს მიუბრუნდა, ხელი დაუქნია, ჩვენთან მოდიო, მაგრამ ბიჭი გაქრა. „მანუჩარ, მანუჩარ!“ — აგუგუნდნენ ანაზდად ნანგრევები.

მეორე ოთახში რაღაცამ ბრახვანი მოადინა. ბექა ფიქრიდან გამოერკვა და წამოდგა. ფანჯარასთან მიირბინა, ფარდა გადასწია, სარკმელი გამოაღო და გადაიხედა. ქვევით შავად ლაპლაპებდა ასფალტი. პროსპექტზე ორივე მიმართულებით გაბაწრულიყვნენ მანქანები.

„კარგი ამინდია, ფეხბურთის თამაში შეიძლება“, — გაიფიქრა ბექამ და სარკმელს მოშორდა.

— ბექა! — კარი შემოაღო მამამ, — წერილი მოგვიდა რიგიდან.

— წერილი?! — გაუხარდა ბექას. მამას ბარათი ჩამოართვა და კონვერტი სწრაფად გახსნა.

— ვისი წერილია? — იკითხა ხმაურზე გამოღვიძებულმა მაკამ და ლოგინზე წამოჯდა, — მეც წამიკითხე!

— წავიკითხავ და მერე გადმოგითარგმნი.

— უთხარი რა, მამიკო, თან გადმოთარგმნოს! — აყვირდა მაკა.

მამას გაეღიმა, მაკა ხელში აიყვანა და ბექას უთხრა:

— ჩვენც გვაინტერესებს...

ბექამ ხელი ჩაიქნია და ხმამაღლა დაიწყო კითხვა. წერილი რუსულად იყო დაწერილი. წაიკითხავდა წინადადებას და ქართულად თარგმნიდა:

„გამარჯობა, ბექა! მივიღე შენი წერილი. მეგობრებს ძალიან მოეწონათ შენი მოთხრობა „ჩხერის ციხე“. კარგი იქნება თუ ამ ციხეზე დაწვრილებით მოგვწერ. ჩვენ ახლახანს რაზმში ჩამოვაყალიბეთ ისტორიულ ძეგლთა დაცვის წრე. შევქმენით მოლაშქრეთა რგოლი. გადაწყვეტილი გვაქვს უახლოეს დღეებში დავლაშქროთ და შევისწავლოთ ჩემს სოფელთან მდებარე ციხე, რომელიც შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლია. ციხე მიუვალია, აგებულია ჭაობიანი ტბით შემოსაზღვრულ კუნძულზე. დაწვრილებით დალაშქრის შემდეგ მოგწერ. ველით შენს წერილს ჩხერის ციხის შესახებ. მოკითხვა გადაეცი თამრიკოს, მზიას, ბაადურს, დუხუნას“.

— ოქტომბრული მოკითხვა მაკას! — ჩამარცვლა ბოლოში ბექამ.

— მაჩვენე, აბა! — მაკამ წერილი ხელიდან გამოგლიჯა და ჩააკვერდა.

— აი, აქ წერია, — მიუთითა ბექამ: — „ოქტომბრული მოკითხვა მაკას!“ მამა, ჩხერის ციხეს აქვს რაიმე ისტორიული მნიშვნელობა? — იკითხა უცებ ბექამ და მამას მიაჩერდა.

— როგორ არა აქვს, შვილო. იქ გადიოდა, ერთის მხრივ, ლიხთ-იმერეთის დამაკავშირებელი გზა, მეორე მხრივ კი მესხეთ-ჯავახეთისაკენ მიმავალი გზა. არ დაკვირვებიხარ, რა მოხერხებულ ადგილასაა აღმართული? ციხიდან ხელისგულივით მოჩანს ყველა მიმართულებით მიმავალი გზები.

— რა ცუდია, რომ ერთხელაც არ ავსულვარ! — ამოიოხრა ბექამ. — რამდენჯერ დავაპირე. იანს კი მივწერე, რომ...

ოთახში დედა შემოვიდა.

— არ უნდა იკრუნო. ხომ გაგიგონია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო! — მამამ ცხვირზე მიაჭირა თითი.

— ამ ზაფხულს რამდენჯერ გთხოვე, ავიდეთ-მეთქი; არასდროს არ გეცალა, — გაიბუტა ბექა.

— ბავშვი მართალს ამბობს, — ჩაერია დედა. — რა მოხდებოდა, ერთხელ რომ წაგეყვანა იმ ციხეზე?

— არა უშავს, მე მოგიყვები და ისეთ წერილს დავწერთ...

— არა, არა! — იყვირა ბექამ. — ჩემი თვალით მინდა ვნახო.

— ახლა როგორ ნახავ, შვილო, — დედამ თავზე გადაუსვა ხელი. — გაზაფხულდება და...

— მერე, გაზაფხულამდე არ მივწერო წერილი?!

ბექამ სახლის სახურავი გადაირბინა და მეზობელ კიბეს ჩაუყვა. მეშვიდე სართულზე კარის წინ შეჩერდა, ელექტროზარის ღილაკს დააჭირა თითი. კარი დუხუნას დედამ გააღო.

— ოო, ბექა! დუხუ შენთან არ არის?! — გაუკვირდა მარო დეიდას. — ეს-ესაა გამოიქცა!

ბექამ მხრები აიჩეჩა, მერე გაიღიმა და შესძახა: ალბათ ეზოდან წამოვიდაო, და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა.

იანისაგან პირველად შარშან მიიღო წერილი. მეექვსე კლასის მოსწავლეს, რიგით მეათესაო, — ეწერა კონვერტზე. წერილი ბექას შეხვდა, ის იყო სიაში რიგით მეათე. ამის შემდეგ დამეგობრდნენ ის და იანი. ბექას ძალიან უყვარს წერა, განსაკუთრებით — მოთხრობებისა. წერს ყველაფერზე, რასაც განიცდის და ნახავს. მერე რუსულად თარგმნის და იანს უგზავნის. წელს, არდადეგებზე, სოფელში იყო, ჩხერის ციხეზე პატარა მოთხრობა დაწერა და იანს გაუგზავნა. ახლა თავისივე წამოწყებულმა საქმემ ააფორიაქა. მოთხრობაში ისე წერდა, თითქოს ჩხერის ციხიდან ბევრჯერ გადმოეხედოს. კარგია იქიდან გადმოხედვაო, წერდა მოთხრობაში. სიბამდვილეში კი ერთხელაც არ ასულა ჩხერის ციხეზე. როგორ მისწერს დაწვრილებით იანს, თუ ციხე არ ნახა, იქიდან არ გადმოიხედა...

— ბექა! შემოესმა მოულოდნელად დუხუნას ხმა.

ბექამ გაკვირვებით მიიხედა. დუხუნას ლიფტის შახტში ამოეყო თავი და იღიმებოდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ბექამ და მიუახლოვდა.

— ლიფტი გაფუჭდა, ძია იგორს ვეხმარები — თქვა ღრეჭით დუხუნამ.

ბექა დაიხარა და შახტში ჩაიხედა. ქვევით ძია იგორი რაღაცას უკაკუნებდა.

— ჩემთან იყავი? — დუხუნა პასუხს არ დალოდებია, საქმიანად განაგრძო: — შენთან მოვდიოდი, მაგრამ ძია იგორმა მთხოვა და... — ბოლო ფრაზა ხმადაბლა თქვა.

დუხუნას ძალიან უყვარდა ჩხირკედელაობა, ერთი ჭანჭიკის მოჭერა ყველაფერს ერჩია. მთელს სახლში თუ ვინმეს უთო ან სხვა რამ გაუფუჭდებოდა, დუხუნას უხმობდნენ. ისიც გულმოდგინედ დაშლიდა ხოლმე, აწყობით კი... თუმცა ხშირად აწყობასაც ახერხებდა. თუ ვერ ააწყობდა, ძია იგორთან გარბოდა. ძია იგორს სწავლება არ ეზარება, მაგრამ ხუმრობით სულ იმას იძახდა, მაგარი მეტოქე მეზრდება და რა მეშველებაო.

— წერილი მივიღე იანისაგან, — უთხრა ბექამ და ბარათი გაუწოდა.

— იანი ვინ არის?

— დუხუ, — დაიძახა იგორმა, — მომეხმარე, თუ მეხმარები!

კარლო ტაბატაძის მოთხრობა „ფრესკამ“ „პიონერის“ კონკურსზე მესამე პრემია დაიმსახურა.

— ახლავე, ახლავე! — დაფაცურდა დუხუნა და შახტში ჩაძვრა.

ბექამ მოიწყინა, კიბეზე ჩამოჯდა და წერილი ერთხელ კიდევ გადაათვალიერა. „რა იქნება ჩხერის ციხე რომ დავლაშქროთ? დავიყოლიებ მეგობრებს, მერე ლეილა მასწავლებელს ვთხოვ. კარგი იქნება, თუ რაზმში ჩამოვაყალიბებთ ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და შემსწავლელთა წრეს. მაშინ მარტო ჩხერის ციხეს კი არა. სხვა ციხეებსაც შევისწავლით. ლეო ჩანახატებს გააკეთებს, მე ლაშქრობას და ციხეს აღვწერ“... ამ ოცნებამ ისე გაიტაცა, რომ გახარებულმა კინაღამ შეჰყვირა. ფეხზე წამოხტა. ლიფტის შახტში ჩაიხედა.

— მალე ამოვალ, დამიცადე. ამოსძახა დუხუნამ.

— იცი რა, წრე უნდა ჩამოვაყალიბოთ! — გაანდო ფიქრი ბექამ.

— რა წრე?! — გაოცდა დუხუნა.

— ამოდი და გეტყვი.

— წადი, უკვე გავაკეთე. — უთხრა იგორმა დუხუნას.

დუხუნა შეყოყმანდა, მერე იარაღები ლიფტის იატაკზე დააწყო და ზევით ამოხოხდა, ხელები ჩვრით შეიწმინდა და ჩაილაპარაკა:

— არ იციან ლიფტის ხმარება, მე და ძია იგორი სულ ასე ვწვალობთ.

— ლეოსთან წავიდეთ, ეს წერილი უნდა ვაჩვენო. — უთხრა ბექამ.

— ჰო, მართლა, ვისი წერილია? მაჩვენე! — დუხუნამ ბარათი გამოართვა, გადაიკითხა, მერე ისევ დაუბრუნა და თქვა: — რა უნდა მისწერო, ჩვენ ხომ ჯერ საქართველოს ისტორიას არ ვსწავლობთ.

— მერე რა, ვიშოვი წიგნს და წავიკითხავ! მოდიხარ?

— არა, ვერ წამოვალ, საქმეები მაქვს! — დაიწუწუნა დუხუნამ.

ბექას გულზე მოხვდა მეგობრის გულგრილობა, მაგრამ არ შეიმჩნია, სწრაფად შეტრიალდა და შენობიდან უკანმოუხედავად გავარდა.

ოთახში ორი საწოლი, ტანსაცმლის კარადა და თამრიკოს პატარა მაგიდა იდგა. აქ ეწყო მისი წიგნები და ჩანთა. მაგიდასთან დიდთვალება გოგონას ფერადი პორტრეტი ეკიდა, რომელსაც წარწერა ჰქონდა: „თამრიკო“. პორტრეტი ლეომ დახატა და მეგობარს შეჰპირდა, თუ გამოფენაზე გაიმარჯვებს, გაჩუქებო. სურათი მართლაც მოეწონათ დრეზდენში ნორჩ მხატვართა გამოფენაზე. ლეომ პირობას არ უღალატა და ნახატი თამრიკოს აჩუქა.

მეორე ოთახიდან ფორტეპიანოს ხმა ისმოდა — თამრიკო მეცადინეობდა. ბექა პორტრეტს მიუახლოვდა და დაკვირდა. მერე თამრიკოს პატარა ძმას, გიას მიუბრუნდა, რომელიც იქვე კოპებშეკრული იდგა, ხელები ზურგზე შემოეწყო და ბექას თვალს არ აშორებდა.

— კარგი ნახატია არა? — უთხრა ბექამ.

— მე უკეთესად დავხატე. — უპასუხა გიამ.

— აბა, მაჩვენე.

ბიჭი დაფაცურდა, კარადიდან საქაღალდე გამოიღო და მაგიდაზე დიდის ამბით გაშალა, მერე ერთი ნახატი ამოარჩია და ბექას აჩვენა. ბიჭს თამრიკოს პორტრეტი გამოეხატა. ცხვირი გვერდზე გაქცეოდა, თვალები — შუბლზე, ტუჩები ისე ქვევით მიეხატა, რომ ნიკაპი აღარ ჭქონდა.

— ყოჩაღ! — შეაქო ბექამ. — სხვა ნახატებიც მაჩვენე.

— აი ეს, ორი ვეფხვი. — თქვა გათამამებულმა გიამ და ნახატი უჩვენა.

მეორე ოთახში პიანინოს ხმა მიწყდა. ახლა დერეფანში გაისმა ფეხის ხმა. თამრიკომ მასწავლებელი გააცილა და სახეგაბრწყინებული ოთახში შემოვიდა. ბექა ფეხზე წამოდგა. თამრიკომ სხაპასხუპით დაიწყო:

— კონცერტისათვის ვემზადები, ყოველდღე ვმეცადინეობ. შენი მისვლა არც გამიგია, დედას რომ არ ეთქვა. კარგია, რომ მოხვედი, ამოცანა ვერ ამოვხსენი. შენ რა ჰქენი, მოამზადე გაკვეთილები?

— ჯერ არა, — უპასუხა ბექამ. უნდოდა ეთქვა. წერილი მივიღეო, მაგრამ თამრიკომ არ დააცალა:

— ლეოსთან ვინდოდა მისვლა. გუშინ მითხრა, ახალი ნახატები მაქვსო, — მერე ძმას მიუბრუნდა: — რას დაგიყრია ეს ნაჩხაპნები, აალაგე!

გია აბუზღუნდა, ნახატები კვლავ საქაღალდეში ჩააწყო და ზონრები გულდასმით შეკრა.

— კარგად ხატავს! — შეაქო ბექამ გაგულისებული გია.

თამრიკომ გაიღიმა:

— შეგვიკლა ხელში მაგის ხატვამ. ხედავ, კედლებიც დაჩხაპნა. ოღონდ ფანქარი ჩაიგდოს ხელში და...

გიამ საქაღალდე მოუქნია, ცრემლს ძლივს იკავებდა. ბექამ ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა. ამასობაში თამრიკომ არითმეტიკის წიგნი მოძებნა და გადაშალა. ბექამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, წერილი ამოიღო.

— იანის წერილი მივიღე.

— იანის?! — თამრიკომ უცბად ვერ გაიხსენა ვინ იყო იანი, მერე სახე გაუნათდა: — მაჩვენე!

თამრიკომ სწრაფად ჩაიკითხა წერილი და ბექას შეხედა.

— ჩხერის ციხეზე ერთხელაც არ ავსულვარ. — ამოღერღა გულდაწყვეტით ბექამ.

— მერე რა, ავიდეთ, ლაშქრობა მოვაწყოთ, — შესძახა თამრიკომ. — ვთხოვოთ პიონერხელმძღვანელს. თუ არ წაგვიყვანენ, მერე მამას ვთხოვ. ის ხომ ყოფილი მთამსვლელია, მაგისთანა ციხეებზე ასულა?! ლეოც წავიყვანოთ.

— ლეოს დღესვე მოველაპარაკოთ. — აჩქარდა ბექა.

— წავიდეთ, ახლავე წავიდეთ, — თქვა თამრიკომ და კარს მიაშურა. — დედას ვეტყვი. მაგ საქმეს ამ კვირას უსათუოდ მოვაგვარებთ. აი, ნახავ!

— შორს არის? — იკითხა გიამ.

— რა? — გაუკვირდა ბექას.

— აი, ის... ციხე.

— მატარებლით ექვსი საათი უნდა, მერე კი ფეხით საათნახევარი. — აუხსნა ბექამ. მას მანუჩარი გაახსენდა, წუხელ რომ დაესიზმრა...

მ ა ნ უ ჩ ა რ ი

მანუჩარი ხელებგაშლილი იდგა ბორცვებზე და აღმოსავლეთს გასცქეროდა. აისის გრილი ნიავი უწეწავდა თმას. ზეცას და მთის მწვერვალებს ეს-ეს არის მეწამული ფერი მოედო და ბნელი შეაკრთო. მეწამულით გაიღინთა ზეცა, ჰორიზონტზე მწვერვალები წითლად გაღვივდა. ბინდბუნდი რიჟრაჟმა წალეკა. ნათელმა იმძლავრა. მწვერვალების მიღმა დიდი, ყვითელი მზე ამოგორდა. მანუჩარს თვალები გაუბრწყინდა, აღტაცებულმა პირში თითები ჩაიდო და დაუსტვინა. იქვე, მინდორში შეჯგუფული რემა აირია, ერთმანეთს მიაწყდნენ ცხენები ფლოქვების თქარუნითა და ჭიხვინით. მზე დიდი დაირასავით გამოეკიდა ზეცაში და მანუჩარისაკენ გამოსცურა. აელურტულდნენ ჩიტები, აშრიალდა ტყე — ნათელს მხიარულად შეხვდა ბუნება.

მანუჩარმა ერთხელ კიდევ დაუსტვინა. ცხენები კვლავ ერთმანეთს მიაწყდნენ. მათს ხასხასა ბეწვზე მზის სხივი აციალდა.

მანუჩარს მზემ თვალი მოსჭრა, რემას ხელი აუქნია და მხიარულად გაიცინა. მერე მინდორზე გულაღმა დაწვა და ზეცას მიაპყრო თვალი. ცხენები დამშვიდნენ, ბალახს წაეტანენ.

— ლურჯი ცა, — წაიდუდუნა მანუჩარმა, — ცისფერი. ლურჯი იები. წყალიც ლურჯია მორევში.

მოულოდნელად ცის ტატნობს ორბი გამოეყო, დიდხანს ბოინობდა. მერე ქვემოთ დაეშვა, მანუჩარმა ხელი მოიჩრდილა. ორბი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა, ახლა ფრთების შხუილიც კარგად ესმოდა. ბიჭი გარინდული, მოჯადოებული მიჩერებოდა მტაცებელს, რომელიც საცაა თავს დააცხრებოდა. ფერებს, საოცნებო ფერებს მისწვდა თვალი ორბის ფრთებზე. სუნთქვაშეკრულმა მანუჩარმა ხელი გაიქნია, დამფრთხალმა ორბმა ავად დაიყაშყაშა და ფრთების ტყლაშუნით კვლავ სივრცეს მიაშურა. მანუჩარს გაეღიმა. მძორი ხომ არ ვეგონეო, — გაიფიქრა და დაუსტვინა. ცხენები კვლავ შეიმართნენ და ყურებდაცქვეტილები მიაჩერდნენ.

— წითელი ფერი, — წარმოთქვა მანუჩარმა. — ხენდრო იძლევა წითელ ფერს, მიწაც წითელია ჩვენს აღმართზე.

შორიდან ზარის ხმა მოისმა. მთებს, ჭალებს და ტყეებს გადაურბინა. პირველ ხმას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

— უჰ, რა დრო გასულა! — შესძახა ბიჭმა და ფეხზე წამოხტა, თავქვე დაეშვა.

ზარის ხმა მიწყდა, ახლა ტყიდან ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი ისმოდა. მანუჩარი აღმართს შეუყვა. მალე გადასახედიდან ეკლესია გამოჩნდა. ბიჭი ერთხანს მოჯადოებული გასცქეროდა მწვანეში ჩაფლულ გუმბათიან ეკლესიას, რომელსაც გარშემო ქვიტკირის გალავანი ერტყა ასწლოვანი კაკლის ხეების ჩრდილი ადგა მწვანედ მოხასხასე ეზოს.

ეკლესიის ქვემოთ ტყით ჩაბურული ხეობა მოჩანდა. იქ პატარა, ანკარა მდინარე მიჩუხჩუხებდა. დღის შუქი თანდათან ღრმად მიიწევდა ხეობაში. მანუჩარი ფერთა ცვალებადობამ გაიტაცა. გასცქეროდა მიდამოს და იმ საოცნებო საღებავებზე ფიქრობდა, ბაბუა რომ შეჰპირდა. საღებავებით ხომ ამ მთებს, ხეობას, ამ დილას ჩახატავდა; მერე, ვინ იცის, იქნებ ეკლესიაც მოახატვინონ. ამის გაფიქრებაზე მანუჩარს გული შეუტოკდა. მერე ზეცას ახედა და კვლავ თავქვე დაეშვა. ეკლესიის ეზო გადაირბინა და ბაბუას მიუახლოვდა. კაცია ქვას თლიდა იცოდა, მანუჩარი სადაც იქნებოდა და არაფერი უკითხავს, ბიჭს კუშტად შეავლო თვალი და კვლავ ქვის თლა განაგრძო. მანუჩარმა სატეხ-ჩაქუჩი აიღო და ჯერ კიდევ გუშინ დაწყებული ქვის თლა განაგრძო.

— შვილო, უნდა ვიჩქაროთ, თორემ შემოდგომა კარს მოგვადგება, — ბაბუამ შუბლზე ოფლი მოიწმინდა და მანუჩარს გახედა. — უამრავი საქმე გაგვიჩნდება. ვენახსაც ხომ უნდა მივხედოთ?!

მანუჩარმა უფრო მონდომებით დაჰკრა ჩაქუჩი. ცოტა ქვა როდი გაუთლია ბაბუას გვერდით. რაც წამო-

იზარდა, ასე დაჰყვება სამუშაოდ მამა ალარა ჰყავს მანუჩარს, ქუთაისის ციხის აღებისას, კიკიენ ფაშასთან ბრძოლაში მოუკლავს მტრის მახვილს.

— „ეჰ, — ამოიოხრა მანუჩარმა, — მამა რომ ცოცხალი იყოს“... — უცბად ბაბუას გახედა, ფიქრს ხომ არ მიმიხვდა მოხუცი.

ბაბუას არ გამოჰპარვია ბიჭის ამოოხვრა, მაგრამ არ შეიმჩნია, ერთ ხანს უხმოდ მუშაობდა. ქვაში ჩუქურთმა უფრო ღრმად და გამოკვეთილად ისახებოდა.

— ჩვენი საქმე ესაა, შვილო, ღმერთს ესე დაუწესებია: ერთნი მიწას ხნავენ და ყანას მკიან, მეორენი რკინას ჭედავენ, სხვებს თიხიდან ჭურჭელი ამოჰყავთ; ზოგიც ვაჭრობს, ჩვენ კი... მამაჩემიც ქვას თლიდა, მეც ქვის თლა ვისწავლე. — კაციამ იყუჩა, ბიჭს დაეინებით დააცქერდა, მერე განაგრძო: — მამაშენსაც ქვის თლა ვასწავლე. არ დასცალდა, შვილო, სამშობლომ ასე მოითხოვა... შენც ჩვენი ხელობა უნდა ისწავლო. შენღა დამრჩი სანუგეშებლად! — მოხუცმა თავი ჩაღუნა, ჩუქურთმას დააცქერდა. — აბა მოდი, ნახე!

მანუჩარი წამოდგა და ბაბუასთან მივიდა. კაცია სასოებით უსვამდა ხელს ჩუქურთმას, თან მანუჩარს თვალს არ აშორებდა, ბოლოს ეს უთხრა:

— ჩუქურთმა უნდა მღეროდეს, შვილო!

— კი, ბაბუა, მაგრამ მე ფერები უფრო... — დაიწყო გაუბედავად მანუჩარმა.

კაციას ფერი ეცვალა, — შვილიშვილი ისევ თავისაზე იდგა. თავდაპირველად, მანუჩარის ფერებით დაინტერესება უბრალო ბავშვური გატაცება ეგონა. თავს ინუგეშებდა, მალე გაუვლისო. ერთის მხრივ უხაროდა კიდეც: მეც ხომ ვიყავი ჭაბუკობისას ხატვით გატაცებულიო, მაგრამ მანუჩარი, რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო ილტვოდა ხატვისაკენ. კაცია წამოდგა და შეჰყვირა:

— უპირველესი — მოცულობაა, ჩელშესახები რაც არის ისაა. აბა, სცადე, დახატე რაიმე, თუ კედელი არა გაქვს! კედელი კი ჩვენ უნდა ვაშენოთ, ასე დაუწესებია ღმერთს...

კაციამ ხელსაწყოები შეინახა და ეკლესიისაკენ გაემართა, მერე შვილიშვილს მიუბრუნდა და ხელით ანიშნა, მომყევიო. მანუჩარი წუთით დაიხარა და ჩუქურთმას ხელი გადაუსვა, მერე ეკლესიას გახედა, რომლის სამხრეთ ფასადის ორ სარკმელს ასეთივე ჩუქურთმები ჰქონდა შემოვლებული. ერთი თვეა, რაც ბაბუა-შვილიშვილი აქ მუშაობს. ოსმალებთან ომისას, ამ ათიოდე წლის წინათ, კარიბჭე ჩამონგრეულა. ახლა მას აღადგენდნენ. ბაბუას თვალი ქუთაისისაკენ ეჭირა; ყური მოჰკრა, სოლომონ მეფე ბაგრატის ტაძრის აღდგენას აპირებსო, უნდოდა მშენებლობაში თვითონაც მიეღო მონაწილეობა. ბიჭს არ ასვენებდა: იმუშავე, იმუშავეო, სულ ამას უკიჟინებდა.

ბაბუას ძახილმა მანუჩარი ფიქრებიდან გამოიყვანა და მანაც ეკლესიას მიაშურა. ონოფრე ბერი შეეფეთა დანგრეულ კარიბჭესთან. წიგნი ხელით მკერდთან მიეკრა ღვთის მსახურს. შავი კაბა ემოსა და ფერმკრთალ სახესაც შავი წვერ-ულვაში უმშვენებდა. ონოფრე ბერი იყო მანუჩარის მასწავლებელი და მეგობარი, მან ასწავლა ანბანი, მოყვასის ერთგულება და მტრის სიძულვილი. მანვე ჩაუნერგა ფერთა სიყვარული.

— ალიონს შევხვდი, წარმტაცი იყო ზზის ამოსვლა! — თქვა მანუჩარმა.

ბერს გაეღიმა, ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, მიუალერსა.

— მერე, ორბი დამაცხრა ანაზდად, — განაგრძო მანუჩარმა. — მინდორში ვიწექი, ზეცას ავყურებდი. ორბი ჯერ ჩემს ზევით ლივლივებდა, მერე დაეშვა და, ხელი რომ არ ამექნია, ალბათ თვალებს ამომკორტნიდა.

ბერი ერთხანს გაოცებული შეჰყურებდა მანუჩარს. მერე კალთაზე მიიკრა და უთხრა:

— არ არის ეს კარგის მაუწყებელი! ორბს მძორი და სისხლი ექნებოდა ნაგემი; მძიმე დღეები გველის უთუოდ... — ბერმა ზეცისაკენ აღმართა ხელი და შეჰღაღადა: — ღმერთო, შენ დაიცავი საქრისტიანო...

თავი მეორე

ბაადური დინჯად მიაბიჯებდა ქუჩაში. თორნის პური ამოეღლიავებინა, ხშირ-ხშირად მოწიწკნიდა ხოლმე და გემრიელად იღეჭებოდა. სიმსუქნისაგან ფუნთუშასავით დაბერილი ლოყები უფრო მეტად დამრგვალებოდა. პირველმა თამრიკომ შენიშნა ბაადური, გაეღიმა, ბექას მხარი გაჰკრა და უთხრა:

— ბაადური მოდის!

ბექამაც იქით ვაიხედა. ბაადურმა უნდილად გაუღიმა მეგობრებს, ლუკმა გადაყლაპა და მათ მიაშურა.

— პურის შინ მიტანას არ აპირებ? — ჰკითხა სიცილით თამრიკომ.

ბაადურმა ნახევრადშეჭმულ პურს დახედა და გაიღიმა.

— გამარჯობა! — უთხრა ბექამ და ხელი ჩამოართვა.

— საით გაგიწევიათ? — იკითხა ბაადურმა.

— ლეოსთან მივდივართ, — მიუგო თამრიკომ და ბექას გადახედა, ვუთხრათ თუ არა, რისთვისაცო.

— შენც წამოდი, - უთხრა ბექამ, — დაგელოდებით.

ბაადურმა შინისაკენ გაიხედა, მერე თავი გაიქნია და გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა:

— ვერ წამოვალ, დედა მელოდება.

— ადი, უთხარი. ჩვენ აქ დაგელოდებით! — დააიმედა ბექამ.

— არა, არ გამომიშვებენ.

ბექას უნდოდა ეთქვა, წერილი მივიღეთ იანისაგან და უნდა მოვილაპარაკოთო, მაგრამ თამრიკომ ხელი მოჰკიდა მკლავში.

— წავიდეთ, — თქვა თამრიკომ და ბაადურს მიუბრუნდა: — თუ თავი დაიძვრინო, ლეოსთან ვიქნებით.

თამრიკო და ბექა ქუჩას გაუყვნენ. ბაადურმა თვალი გააყოლა, ერთხანს ასე იდგა, მერე მოზრდილი პურის ნატეხით პირი

_ity_tenა და შინისაკენ გასწია.

— დედას ვფიცავ, ჭამის მეტი თუ რაიმე აინტერესებდეს! — გადაიკისკისა თამრიკომ, — მეცოდება, ძლივს დადის.

— რა მოუხდება ჩხერის ციხეზე ასვლა და ჩამოსვლა! — გაეღიმა ბექას.

— ძალიან მაღალზეა? — დაინტერესდა თამრიკო.

— მდინარის მხრიდან თითქმის მიუდგომელია. ისეთ კლდეზეა აღმართული, ქაჯეთის ციხე გეგონება. სოფელ ჩხერიდან კი შედარებით ადვილია.

— თუ ამინდები იქნა, აუცილებლად წავალთ, — თქვა იმედიანად თამრიკომ. — თუმცა უამინდობაც ვერ შეგვიშლის ხელს!

— როგორ ვერ შეგვიშლის, იქით ისეთი წითელი აყალო მიწაა, რომ დასველდება, მტრისას...

თამრიკო ჩაფიქრდა, ერთ ხანს ასე უხმოდ მიდიოდნენ, მალე ლეოს მამის სახელოსნოც გამოჩნდა.

●

არჩილ ბიძია მოქანდაკე იყო. დიდი სამხატვრო სახელოსნო ჰქონდა და ხშირად ჯალაბიანად იქვე ცხოვრობდა. ლეოსთან ხშირად მოდიოდნენ სკოლის ამხანაგები, ათვალიერებდნენ ქანდაკებებს, ნახატებს. არჩილ ბიძიას ძალიან უყვარდა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის მეგობრები, შეეძლო მთელი დღე მათთვის დაეთმო: მათთან ეთამაშნა ბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი... რა თქმა უნდა, თუ თავისუფალი იყო. მაგრამ თუ მუშაობდა, სახელოსნოში ვერავინ შებედავდა.

თამრიკომ ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. სახელოსნოს წინ ბაღჩა იყო, სადაც ვარდები, გეორგინები და სხვა ათასი სახის ყვავილები ჰყვაოდა.

— ლეო! — დაიძახა ხმამაღლა თამრიკომ.

— შემოდი! — გაისმა სახელოსნოდან არჩილ ბიძიას ხმა.

სახელოსნო ვრცელი იყო. შუა სახელოსნოში ხარაჩოებში ჩასმული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი თიხის ქანდაკება იდგა. არჩილ ბიძია ხარაჩოზე იდგა და თიხას თითებით ძერწავდა. ბავშვებს მხიარულად შეხვდა, თი-



ხის მოზრდილი გუნდა ფიცარზე დაატყეპა და მოსულებს გაღიმოსძახა:

— მეგობარს ეძებთ?

— დიახ, არჩილ ბიძია! — ასძახა თამრიკომ ისე, რომ ქანდაკებისათვის თვალი არ მოუშორებია.

— მისი პოვნა არც ისე ადვილია! — თქვა მრავალმნიშვნელოვნად არჩილ ბიძიამ, ფიცარზე ჩამოჯდა და დასძინა: — თქვენი მეგობარი ამ ბოლო დროს ცხენებითაა გატაცებული.

— ცხენებით?! — გაოცდა თამრიკო და არანაკლებად გაოცებულ ბექას გადახედა.

— ჰო, იპოდრომზეა, დოღის ცხენებს ხატავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი კვარტალის ცენტრში დიდი, მწვანე მინდორი ლითონის ბადით იყო შემოღობილი. ეს ადგილი ბავშვებმა გაწმინდეს, მოასწორეს და ფეხბურთის მოედნად აქციეს; უბანში ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბეს და ქალაქის ეზოების პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაშიც მიიღეს მონაწილეობა, თუმცა თამაშს მალე გამოაკლდნენ. სულ იმ ბუთხუზა ბაადურის გამო. ბაადური მეკარე იყო. როცა ვარჯიშობდნენ, მშვენივრად იჭერდა ბურთებს, პირველობაზე თამაშისას კი ისე შეირცხვინა თავი, რომ მას „გასიებული ტომარა“ უწოდა გუნდის კაპიტანმა სოსომ. ამის შემდეგ ბაადური დიდხანს აღარ ეკარებოდა მოედანს, თუმცა იქვე ახლოს ცხოვრობდა. ვერც მისი შემცვლელი მეკარე იშოვეს. სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, სოსო თავისი ფეხით ეახლა ბაადურს და სთხოვა, ისევ კარში ჩადექიო, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო, დედა არ მიშვებსო. სოსო ამაზე სულ გადაირია. მაგრამ, იღბლად, უბანში ახალჩასახლებულმა მეოთხეკლასელმა ილომ იკისრა კარში ჩადგომა. ამის შემდეგ ბაადური ხშირად ჩაივლიდა ხოლმე მოედანთან, მაგრამ შიგ შესვლას ვეღარ ბედავდა.

თამრიკო და ბექა ლითონის ბადეს მიუახლოვდნენ. შუა მოედანზე სოსო და ლერი იდგნენ და აქეთ-იქით იხედებოდნენ. შორიახლოს მეკარე ილო იდგა. ბექას გაახსენდა, დღეს ფეხბურთი რომ უნდა ეთამაშნათ, და თამრიკოს გადაულაპარაკა:

— ბიჭებს ვუთხრათ, ისინიც წამოვლენ იპოდრომზე.

— სოსოს და ლერის? — გაეცინა თამრიკოს, — მათ ხომ ფეხბურთის მეტი არაფერი ახსოვთ!

— შენ მათ კარგად არ იცნობ! — ეწყინა ბექას. — ორივე ჩემი კარგი მეგობარია და მათ ყველაფერს ვუყვები ხოლმე.

ბიჭებმა დაინახეს თამრიკო და ბექა, შესაგებებლად გამოემართნენ. სოსომ ხელები გაშალა და თქვა:

— ჩვენ აქ გელოდებით, თქვენ კი თურმე დასეირნობთ.

— ლეოსთან ვიყავით, — უთხრა ბექამ და დაუმატა: —

— წამოდით, იპოდრომზე მივდივართ, ლეო იქა ყოფილა!

სოსომ და ლერიმ ერთმანეთს გადახედეს, იპოდრომზე წასვლა ჭკუაში დაუჯდათ.

— წავიდეთ! — იყვირა გახარებულმა სოსომ. — წავიდეთ, ცხენებს ვნახავთ! — მერე ილოს მიუბრუნდა: — შენ შინ წადი, დღეს აღარ ვითამაშებთ!

იპოდრომის ბაღში კუნძზე იჯდა ლეო და ბატაცებით ხატავდა ცხენებს, რომლებსაც მის წინ მხედრები დააჭენებდნენ. მეგობრები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ. თამრიკომ თვალებზე ააფარა ხელი. ლეო გაირინდა, გამოცნობას შეეცადა.

— თამრიკო, ნუთუ შენა ხარ?! — შესძახა ბოლოს და ფეხზე წამოხტა.

თამრიკომ გაიცინა. ლეომ მიიხედ-მოიხედა, ბიჭებს გაუღიმა და თქვა: — არ გამიკვირდა, ვიფიქრე, თამრიკო მარტო რამ მოიყვანა-მეთქი.

— კარგი ადგილი მოგიძებნია, ტყე, მყუდროება, ცხენები... რა უნდა მეტი ნამდვილ, მეოცნებე მხატვარს?! — მოეწონა ადგილი ბექას.

სოსო თვალს ვერ აშორებდა ცხენებს. მათ სრბოლას ტანს აყოლებდა, კრთოდა, ღელავდა...

— აბა, გვიჩვენე რა დახატე? — უთხრა თამრიკომ ლეოს.

— იცით რა, — დაიწყო ლეომ, — მამამ სამხატვრო სალონიდან გერმანული სახატავი ქაღალდები, ახალი ფუნჯები და საღებავები მომიტანა, მაგრამ ჯერ ამ უბრალო ქაღალდებზე ვვარჯიშობ. — ლეომ სახატავი ალბომი გადაშალა. — აი, ეს არის, რაც დღეს დავხატე. ზოგიერთი მგონი კარგი გამოვიდა.

ბექამ და თამრიკომ ჩაიხედეს ალბომში. სოსო არ დაინტერესებულა, კვლავ ცხენებს მისჩერებოდა.

— კარგია, მე ეს ნახატი მომწონს! — თქვა ბექამ და ერთ სურათზე მიუთითა.

— ყალყზე რომაა ცხენი შემდგარი, იმიტომ?! — ჰკითხა ღიმილით ლერიმ.

— ვითომ შენ არ მოგწონს! — ჩაერია თამრიკო.

— არა, აი, ეს ნახატი უფრო მომწონს! — ლერიმ უკანვე გადაფურცლა ალბომი და თამრიკოს პორტრეტი უჩვენა.

ლეომ გაიღიმა და დაუდასტურა:

— კი, ეს ჯობია!

თამრიკომ ტუჩი აიბზუა, ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ სჯობდა ეს ნახატი, წინანდელს. მაგრამ, რადგან ლეომ დაადასტურა, ხმა არ ამოუღია.

სოსომ ლეოს ხელი წაატანა და ჰკითხა:

— თუ იცი, ცხენებს არ გვათხოვებენ?

— იცი ცხენზე ჯდომა? — გაუბრწყინდა სახე ბექას.

— როგორ არ ვიცი! ცხენი რამდენჯერ მიჭენებია სოფელში. არ მათხოვებენ?

— აგერ იმ სახლში შედი და მოგაქირავებენ. — უპასუხა ლეომ.

— ფული უნდა? — მოიქექა ჯიბეები სოსომ. ხურდა ამოიღო და გადათვალა.

— ეგ არ გეყოფა. აი, კიდევ, წაიღე! — უთხრა ლეომ და მანაც გაუწოდა ხურდა.

— მეც მაქვს ფული! — თქვა ბექამ და ჯიბეში ჩაიყო ხელი, თან გაიფიქრა: „ნეტა მეც ვიცოდე ცხენზე ჯდომა, კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს“.

— აჰა, მანეთი, მგონი გეყოფა. — თამრიკომ მანეთიანი გაუწოდა.

გახარებული სოსო სულ კუნტრუშით გაიქცა.

— ჩვენ, იცი, რისთვის მოვედით? — დაიწყო თამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკომ. — იანისაგან წერილი მივიღეთ. ხომ გახსოვს იანი?

ბექამ წერილი ამოიღო ჯიბიდან და ლეოს გაუწოდა.

— მახსოვს. ნახატი რომ გავუგზავნეთ, — მიუგო ლეომ და ბექას წერილი ჩამოართვა.

ლერიმ გაკვირვებულმა შეხედა თამრიკოს, — მე რატომ არ წამიკითხეთო, პასუხს არც დალოდებია, ლეოს გვერდით ამოუდგა და წერილს ჩააცქერდა.

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა ლეომ, როცა კითხვას მიარჩა.

— რა და, ციხე უნდა დავლაშქროთ! — მიუგო თამრიკომ, — ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმშიაც მივიდეთ. ისტორიის მასწავლებელიც მოგვიყვება რაიმეს.

— მამაჩემმაც იცის საინტერესო ამბები ჩხერის ციხეზე. — თქვა ბექამ.

— ჩხერის ციხესთან, — დაიწყო მოულოდნელად ლერიმ, — ვიწროებში, სოლომონ პირველის დროს მოხდა სასტიკი ბრძოლა. თითქმის მთლიანად გაჟლიტეს ქართველებმა შემოსეული ოსმალები.

— საიდან იცი ეს ამბავი? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბექამ.

— საქართველოს ისტორიის წიგნში წერია, — უპასუხა ლერიმ. ჩემი ძმა ხომ ისტორიულზე სწავლობს.

— მამაჩემს უამრავი წიგნი აქვს საქართველოს ისტორიაზე. — ჩაერია ლეო.

— კიდევ რა წერია? — დაინტერესდა თამრიკო და ლერის მიაჩერდა.

— ჩხერიდან ვახანამდე სდიეს თურმე ქართველებმა ჰტერს.

— სოსო! — იყვირა ლეომ და ხელი გაიშვირა.

ყველამ იქით გაიხედა. მოედანს წაბლისფერ ცხენზე ამხედრებული სოსო უახლოვდებოდა. ამაყად იჯდა უნაგირზე. მეგობრებს შორიდან ხელი დაუქნია და აღვირი მიეშვა. ლერი ყვირილით გაიქცა მეგობრისაკენ, ცხენს დაედევნა ფლოქვების თქარუნმა და ლერის ყვირილმა ჩააფიქრა ბექა. იგი გაბრწყინებული თვალებით მისჩერებოდა მხედარს, ფიქრებით კი შორს, ძალიან შორს იყო...

საბრძოლებია იქნება

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲒᲣᲛᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

БЯРОЗКА

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ფრთეები

ნ. ნედრა,

ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჩვენი სიძლიერე, ჩვენი ფრთეები მეგობრობაა, საბჭოთა ხალხების მეგობრობა. ეს მეგობრობა იმ დიდ განსაცდელით იქნა გამოცდილი, საბჭოთა ქვეყანამ რომ გადაიტანა.

დიდი მსხვერპლის ფასად იქნა მოპოვებული ბედნიერი, მზიური ბავშვობა. ჩვენმა მამებმა და პაპებმა ანდერძად დაგვიტოვეს, თვალისჩინივით შეგვენახა საბჭოთა ადამიანების მეგობრობა, კომუნიზმის მშენებელი ხალხის ძმური კავშირი. პიონერები მთელი გულით, მთელი სულით ისწრაფვიან პირნათლად შეასრულონ სიტყვა, რომელიც მათმა მამებმა და პაპებმა მისცეს დიდ ლენინს.

„საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში" — ასე დაარქვეს ბელორუსმა პიონერებმა თავიანთ მერვე ექსპედიციას, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიისადმი არის მიძღვნილი.

ჩვენს ქვეყანაში ერთ ოჯახად შეკრული ასამდე სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებს ისტორიული ბედისა და მიზნის ერთობლიობა, ამ ძმურ ოჯახში ცხოვრობენ პიონერებიც. ჩვენს ბავშვებს უნდათ კიდევ უფრო მტკიცედ დაუმეგობრდნენ მოძმე თანატოლებს, სწადიათ გაიგონ, რა ცვლილებები მოხდა საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ კუთხეში ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე, რა წარმატებას მიაღწიეს მათმა თანატოლებმა პიონერული მარშის — „იყავ მზად!" — დროს. ამიტომ ექსპედიციის შორეული და ახლო, დასწრებული და დაუსწრებელი მარშები განუწყვეტლივ მიმდინარეობს მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ახლა, როცა ძმობის და პიონერული ზეიმისათვის მზადება მიმდინარეობს, ბელორუსი პიონერები აფასებენ მიღწეულს და სახავენ ახალ მიზნებს. ახლა ბელორუსიის ყოველი პიონერი „წითელ კვალისმაძიებელთა რაზმის" წევრია. მათ უკანასკნელი წლების მანძილზე ასობით უსახელო გმირის ვინაობა დაადგინეს, მოიძიეს ათასობით შემმარი, რომელთაც დროზე ვერ მიიღეს მთავრობის ჯილდოები: მათი ხელით შეიქმნა სამიათასზე მეტი მუზეუმი, ლენინის ოთახი თუ დარბაზი, საბრძოლო და შრომითი დიდების, ისტორიული თუ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

საბჭოთა პიონერების ძმობის სიმბოლოდ გადაიქცა ოპერაცია „ჩუკოტკა". ჩვენმა პიონერებმა ნამდვილი მეგობრებივით ჩაატარეს ეს ოპერაცია. მათ მიმდინარე ანგარიშზე სსრკ სახბანკში 50 ათასი მანეთი ჩარიცხეს და ჩუკოტკელ პიონერებს 5200 საჩუქრებიანი ამანათი გაუგზავნეს.

ქმობა, ბავშვობა, სათაყვანო მხარე

სადაც ნემანი
ლივლივა ტალღებს
მოათამაშებს წყნარად,
სადაც თეთრონა
არყისხეები
თვალის საამოდ დგანან;
სადაც ზღვასავით
ბრწყინავს და ღელავს
პურის ხასხასა ყანა,
ჩემმა დედილომ
სულზე უტკბესი
სადაც მიმღერა „ნანა";
სადაც პაწიამ
ავიდგი ფეხი
და ამოვიდგი ენა,
სადაც პირველად
მზეს გავუღიმე
და ვარსკვლავების ბრწყენას;
სადაც ყვავილთა
ნაზი ღიმილით
განათებულა არე, —
აი, იქ არის
ჩემი მშობელი
და სათაყვანო მხარე!.

პეტია სტეპანჩუკი,

გროდნოს ოლქი, სვისლოჩკის რაიონის, ნოვოდვორსკის საშ. სკოლ. IX კლ. მოსწავლე.

პიონერები აგრძელებენ მარშრუტს „ცისფერი და მწვანე პატრიოტული", ოპერაციებს „ცოცხალი ოქრო", „ეზოებსა და ქუჩებს — პიონერული მზრუნველობა".

„ჩვენ ინტერნაციონალისტ ებ ი ვართ" — ასეთი დევიზით მონაწილეობენ პიონერები მარშრუტებში — „მშვიდობა და სოლიდარობა", „ნორჩი ინტერნაციონალისტები", „პლანეტის მეგობრები" და სხვ.

„ლენინური ესტაფეტის" მონაწილეებმა შეკრიბეს და სასკოლო მუზეუმებს გადასცეს მოძმე რესპუბლიკებიდან მიღებული ვ. ი. ლენინის ცხოვრების ამსახველი წიგნები და ფოტოსურათები, უცხოელი მეგობრებისაგან მიღებული წიგნები, პლაკატები, ფირფიტები. შეაგროვეს ათასობით ხელისმოწერა ვიეტნამის მშვიდობისათვის მებრძოლთა, საბერძნეთისა და ესპანეთის პოლიტიკური პატიმრების დასაცავად.

მტკიცედ მიაბიჯებენ პიონერები „ცისკრის" მარშრუტითაც, რომელიც ბელორუსიის პიონერებისათვის გმირობის, მამაცობისა და პატრიოტული აღზრდის წყაროდ იქცა. ამ მარშრუტში მონაწილეობის ფორმები მრავალნაირია. გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში გამოცხადდა გმირების ხსოვნის კვირეული. იმ დღეებში ნორჩმა არმიელებმა დაასუფთავეს ძმათა სასაფლაოები, გაჰყვნენ ჩვენი რესპუბლიკის განმათავისუფლებელი შენაერთების კვალს. საბოლოოდ ნორჩ არმიელთა საქმიანობა საკავშირო შეკრებაზე შეჯამდა. ეს შეკრება ჩვენს გმირ ქალაქში — ბრესტში მოეწყო.

ქართველო ბავშვებო! ბელორუსიის 919 ათასი პიონერი მოგესალმებათ და გისურვებთ კარგ სწავლას, შემოქმედებითს აღმაფრენას და წარმატებას პიონერულ საქმიანობაში.

მეგობრობა იყოს ჩვენი საერთო კომპასი სადღესასწაულო მზადების დროს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა
მზეზე.

ლიუდა
იარემჩუკი.
ქ. სოლნეგორსკი.

მეგობარს

არ ვაქრობთ ძმობის კოცონს,
ბარათებს ვატანთ სურვილს..
და სტრიქონებში ცოცხლობს
ჩვენი ფიქრი და სული.

მიჰქრის წერილი, ჩქარობს,
თან ოცნებები მიაქვს...
მეგობარს ჰქვია ვანო,
მე კი ივანე მქვია.
მე შევეზარდე არყნარს,
ტყე-ველთა ტრფობით ვიწვი...
მას მთათა მადლი დაჰყვა
საქართველოის მიწის.
ერთმანეთს ხელებს ვუწვდით,
ვეღარ გვაბრკოლებს მთებიც...
ისევ ბარათებს ..ვუცდით
და მეგობრობით ვთბებით.

სიყვარული ზღვასთან

ფოთლებსაც არ აქვთ განძრევის ძალი,
ხვატია,
სურო შემჭკნარა ბორცვთან...
ზღვაც გასუსულა — ეს მლაშე წყალი —
და კურდღლისცოცხაც
დახრილა მორცხვად.

ალვის ხე დგას და დარდიანდება,
მხოლოდ პალმები
გრძნობენ თავს კარგად...
სიგრილე მოვა მოგვიანებით
და გაცოცხლდება ის სუროც ალბათ.

ნ. ალტუხოვი.

მინის ძაფი

ალექს სავიცკი

ალიონკას დედა მინის ბოჭკოს ქარხანაში ელექტროღუმელების საამქროს ოპერატორად მუშაობს. გოგონა ყოველდღე ხედავს უზარმაზარ-ფანჯრებიან და მინის მოციმციმესახურავიან ქარხნის კორპუსებს. ხედავს დილითაც, როცა აივნის კარს გამოაღებს; ხედავს დღისითაც, სკოლიდან შინ მომავალი, ხედავს საღამოთიც. განსაკუთრებით ღამით არის ლამაზი ქარხნის კორპუსები. ქარხანა დვინის გაღმა დგას, ზედ მდინარის პირას. როცა სინათლე აინთება, ქარხნის სამივე უშველებელი კორპუსის ანარეკლი ათამაშდება წყლის ზედაპირზე.

მღვრიე მდინარე თითქოს აოასფერ ცისარტყელად აციაგდება და ტალღები ნება-ნება აქანავებს ცეცხლის ანარეკლს, გეგონებათ, მდინარეზე საოცრად მსუბუქი და მოციაგე გემი ტივტივებსო.

ალიონკა უკვე ორი წელია გაჰყურებს ამ კორპუსებს. შარშანწინ მისმა მშობლებმა ახალი ბინა მიიღეს მდინარის ნაპირზე. ახლა გოგონა ხშირად ზის აივანზე და გასცქერის მდინარეს. ელოდება როდის დამთავრდება სამუშაო და როდის წამოვა დედა შინისაკენ. ალიონკას ბინა მეოთხე სართულზეა და აქედან კარგად მოჩანს დვინის სანაპიროები, ქარხნის ჭიშკარი, ეს კი არა და, შენობის შიგნით მანქანებთან მოფუსფუსე ხალხიც ჩანს. ელექტროღუმელის საამქროს ფანჯრები მეორე მხარეს აქვს და ალიონკა ვერ ხედავს, სად მუშაობს დედა, მაგრამ ყოველთვის ამჩნევს როდის მთავრდება ცვლა — არიალდება ქარხანაში ხალხი, მოიჩქარის ავტობუსის გაჩერებისკენ. მაშინ ალიონკა ჩართავს ხოლმე ჩაიდანს და ვახშმის მომზადებას შეუდგება, მალე დედაც შემოაღებს კარს. დედა დაღლილი, მაგრამ მუდამ მხიარული ბრუნდება. ეგებება ხოლმე ალიონკა დედას და მუდამ გაოცებული შესცქერის დედის მოციმციმე ტანსაცმელს.

კიბის მოედანი ცუდად იყო განათებული, მაგრამ როცა დედა შემოვიდოდა, კარს მიხურავდა და შუქს აანთებდა, მთელი ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი მხრები და სახელოები, რაღაც ჯადოსნური ფერებით აუციმციმდებოდა. ციმციმებდა, ბრჭყვიალებდა მინის უწვრილესი მტვერი. ეს ციმციმი და ბრჭყვი-

ალი ყოველდღე სხვადასხვაგვარი იყო. ერთი შეხედვით, ეს მტვერი ჩხვლეტია გეგონებოდათ, მაგრამ სინამდვილეში ისეთი რბილი იყო, რომ თითებით ვერც კი იგრძნობდი მას და ალიონკა მუდამ გაოცებული დასცქეროდა დედის კოფთას. როცა ასეთ დროს მამა იყო ხოლმე გვერდით, მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მოუშვი მაგ მინას, თორემ ფილტვებს გაიფუჭებ.

მამა მძღოლი იყო. უყვარდა შორეულ ქალაქებში მგზავრობა, შეჩვეული იყო ქარსა და მზეს, ამიტომაც უყურებდა ასე დედის საქმიანობას. დედა კი აღფრთოვანებული იყო თავისი ქარხნით და, გაიგონებდა თუ არა ასეთ ლაპარაკს, იცინოდა:

— ჩემი ფილტვები შენს საბურავებზე უფრო მაგარია. მერე კიდევ, რა მინა, რის მინა! ჩვენ სუფთა ჰაერით ვსუნთქავთ.

ალიონკამ იცოდა, რომ დედა და მამა ხუმრობით ატრიზავებდნენ ერთმანეთს. ალიონკა დედის საქმესაც პატივს სცემდა და მამის საქმესაც. შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულ მამას მუდამ მოჰქონდა რაიმე საჩუქარი, დედამ კი მხოლოდ ერთხელ, პირველ სამუშაო დღეს მოუტანა ძღვენი. ეს მინის რამდენიმე ბურთულა იყო, რომლისგანაც ნართს ამზადებდნენ, და კიდევ — ორი ქსოვილი. ალიონკამ ერთი ბურთულა დაიტოვა, დანარჩენები ამხანაგებს ჩამოურიგა. მინის ქსოვილებისაგან კი წიგნში ჩასანიშნი გამოჭრა.

წიგნში ჩასანიშნი ნაჭრები თანდათან დაისვარა და ალიონკამ გარეცხა ისინი. ახლა ეს ნაჭრები ძველებურად ბრწყინავს და ქათქათებს, თითქოს დარბილდა კიდეც. ვერც კი დაიჯერებ, რომ მინისაგან არის დამზადებული. კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ პატარა, თხილისოდენა, გამჭვირვალე, ცისფერი ბურთულა — ოცამდე კილომეტრი უწვრილესი ძაფია. ალიონკა წიგნში ჩასადებსაც მიეჩვია და ლარნაკში ჩადებულ ბურთულასაც, მაგრამ მუდამ, როცა ან ერთს იღებს ხელში, ან მეორეს, გაოცებულია ამ იდუმალებით მოცული საგნებით.

ამ გრძნობით იყო იგი შეპყრობილი, როცა დედას ქარხანაში მიჰყვებოდა. ქარხანაში წასვლა პიონერული რაზმეულის შეკრებაზე გადაწყვიტეს. თავისი თვალით უნდა ენახა ალიონკას, როგორ მუშაობდნენ იქ მუშები, როგორ მუშაობს ალიონკას დედა და შემდგომ, სკოლაში თემატურ შეკრებაზე ეამბნა, რასაც ნახავდა და გაიგონებდა. ხარობდა ქარხნისაკენ მიმავალი ალიონკა და თანაც ღელავდა. ვაითუ იმ უცნაური მანქანებისა ვერაფერი გავიგო და შეკრებაზე სათქმელი არაფერი მექნებაო.

ქარხნის ეზოში უზომო ხალხი ირეოდა.

კიბეს რომ მიჰყვებოდნენ, გოგონამ მეორე სართულზე სამედიცინო პუნქტს მოჰკრა თვალი. ღია კარიდან სასადილოშიც შეიხედა, ისიც კი დაინახა, რომ ყოველ მაგიდაზე წითელ ლარნაკებში გვირილების პატარა თაიგულები იდგა.

წითელ საამქროში სისუფთავე იყო. ხალათი რომ ჩაიცვა, ალიონკა გაოცებული იცქირებოდა აქეთ-იქით. ელექტროღუმელების საამქრო! მერედა ღუმელები სადღაა? ორ მწკრივად ჩარიგებულა დიდი, შავი ყუთები, ყოველ ყუთთან დღის სინათლის მილები ციმციმებს. საიდანღაც წითელი-მეწამული შუქიც იფრქვეოდა. ამ შუქზე ოპერატორების სახე ბრინჯაოსფერი ჩანდა. საიდან იფრქვეოდა: ეს სხივები, ალიონკა ვერ ხედავდა. ისიც გაუგებარი იყო, საით მიცურავდნენ, რწევა-რწევით, თეთრი, მუცელდაბერილი კოჭები. ისიც გასაოცარი იყო, რომ გუგუნი ღუმელებიდან კი არა, თითქმის ყოველი მხრიდან მოისმოდა. ეს მონოტონური გუგუნი ისე ავსებდა მთელ ქარხანას, რომ დედის ხმა რაღაც მკაცრ ხმასავით ისმოდა.

ისინი მეორე რიგში, მეხუთე ღუმელთან შეჩერდნენ. მეორე მხარეს დაბალი, გრძელი მაგიდა იდგა. მასზე სამ წყებად ელაგა ყავისფერი მაქოები. ღუმელთან თეთრხალათიანი და თეთრხილაბანდიანი ახალგაზრდა გოგონა იდგა.

— მოწაფე მოგამაგრეს? — ჰკითხა მან დედას.

— არა, ეს ჩემი ქალიშვილია, სკოლიდან გამოგზავნეს. ქარხნის დათვალიერება უნდა.

უცებ ღუმელის მარცხენა მხარე გაიღო და ლურჯხალათიანი ჭაბუკი გამოვიდა, გაისწორა ყავისფერი ბერეტი და დედას მიესალმა, მერმე ალიონკასაც დაუკრა თავი და რაღაცნაირად აღფრთოვანებულმა თქვა:

— ჩავრთოთ, ვნახოთ, ჰა?

სამივენი სამართავი ფარის წინ იდგნენ, ალიონკამ ვერ შეამჩნია სად და როდის ამოძრავდა ფარზე მაქო.

დედამ წვრილი მინის ჯოხი გამოსდო თეთრ ფთილას, ძირს დასწია და ფარის ცენტრთან მრგვალ მაგიდასთან მიიტანა.

— კარგია! — თქვა ჭაბუკმა. — მეხუთე ორას პროცენტს მოგვცემს. მაგარი ღუმელია...

11834

ვაშაჯოხა, ძმობილო!

ვასილ ვიჭკა

დაბერდა ჩემი პაპილო,
თმა-წვერი გასთეთრებია;
სადაც წავალთ და წამოვალთ,
სულ მეგობრები ხვდებიან.

აგერ რუსეთში ვესტუმრეთ, —
გამოგვიწოდეს მარჯვენა;
— ზდრავსტუი! ჩემო ვასია,
შენ გაგახარა გამჩენმა!

უკრაინელზე არ იტყვი?
განა ის ვალში დაგრჩება!
— დობრი დზენ! ჩემო ვასია,
შენ გაგახარა გამჩენმა!

დავდივართ მე და პაპილო
ხელიხელ გადაჭდობილი...
— ჰე, ლაბა დენა! ვასია! —
ამბობს ლიტველი ძმობილი.

დიდი ხნის უნახავივით,
ღვიძლი ძმასავით მიმნდობი —
— ცვეიკი! — გვხვდება ლატვიის
ქუჩა, მთა, სახლი, მინდორი.

მოგაჯადოებს უთუოდ,
როგორც ხმატკბილი ფანდური —
ქართული გულითადობა
და გამარჯობა ქართული.

ჰე, მეგობრებო, ძმობილნო,
რომ არ გამომრჩეთ არავინ —
ჩემო უზბეკო, ტაჯიკო,
ჩემო ყირგიზო, — სალამი.

ო, ჩემო პაპავ, კეთილო,
მენდე, ირწმუნე ნამდვილად,
რომ შენი ალიკვალი ვარ
და რომ შენ კვალზე დავდივარ.

და ჰქუხს ჩემი ხმა ძლიერი,
მზეა, თოვლი თუ წკვარამი:
შენ, ორთავ თვალის სინათლევ,
ჩემო ქვეყანავ, სალამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადიულ ცეცხლთან

მიკოლა ჩერვიანსკი

აქ ყოველ დილით ფრინველთა გუნდი
გალობს და გალობს თავის ენაზე..
წუთი რა არის, —
არ არის წუთიც,
აქ არ სუფევდეს თბილი სინაზე.

და სიოც თავის ნებაზე არხევს
მარადიულ ცეცხლს,
როგორც ყელსახვევს,
და მაღლა აწვდილ მარჯვენა ხელით
სმენაზე დგანან აქ ბიჭუნები.

ჩვენც, ათას ცხრაას ორმოცდახუთში
(რა დამავიწყებს იმ ძვირფას წამებს),
გვარდიულ პოლკებს შევტრფოდით
გულით,

აქ ვიდექით და..
ველოდით მამებს.

ომიდან ყველა როდი დაბრუნდა,
მათ ჩვენთვის დასთმეს სიცოცხლე
ტკბილი .
ზოგის სახლ-კარი გაუდაბურდა
და ესეც —
დღემდე გვიმძაფრებს ტკივილს.
ასე ყოფილა ალბათ ოდითგან,
გაფრინდნენ წლები .. გავიზარდენით...
და მარადიულ ცეცხლთან მოვდივართ,
გმირთა ხსოვნისთვის მოგვაქვს ყარდები.

აქ ახლა წითლად ელავს გრანიტი,
ამ მარადიულ ცეცხლით გამთბარი;
აქ ახლა წყნარი სუფევს ამინდი
და ნურც გვენახოს ომის ავდარი.

...მაღლა აწეულ მარჯვენა ხელით
სმენაზე მდგარი ეს ბიჭუნებიც —
თითქოს ცდილობენ, ბედითქარისგან
გმირთა ლამაზი ხსოვნა დაიცვან.

ბებუკი წავიდა. დედამ რომ შეცვალა, ის ქალიც წავიდა. ალიონკა გაფაციცებული უყურებდა, რა ხდებოდა ირგვლივ. მაღლა დოზატორები ტკაცუნებდნენ, ვედროში ჩაყრილი წვრილი ბურთულები ვიწრო ღარით მიგორავდნენ და ღუმელის შავ მუცელში უჩინარდებოდნენ. დედამ ორჯერ შეცვალა ფარზე კოჭი. ყრუდ გუგუნებდნენ ფართო, შავ მილებში ვენტილატორები.

— ხომ არ მოგწყინდა? — მოფერებით უთხრა დედამ და გაიღიმა. — მოდი მომეხმარე, ეს კოჭი კასეტში ჩადე და დავიწყოთ... ალიონკამ დედას გამოართვა მრგვალი, მუცელგაბერილი კოჭი. ერთხანს ხელში ეჭირა, შემდეგ კასეტში ჩადგა და გაბმულ ავტომატურ ხაზზე ჩანგალი ჩამოდო.

კოჭი უცებ ამოძრავდა. მას დაუსრულებელ ნაკადად გაჰყვა სხვა ღუმელებიდან თეთრი, დიდი მსხლის მაგვარი კასეტები.

— ახლა უყურე! ეს ბაბინა ანუ კოჭია. აქ ძაფი გრძელდება, იქ ფილტრია. მასში ასი წვრილი ნახვრეტია. ჯერ ამ ნახვრეტებში გადის გამდნარი მინა, შემდეგ კი ძაფად ქცეული ბაბინაზე ეხვევა. აბა, სცადე. ნუ გეშინია, თამამად იყავი. — უთხრა დედამ და ალიონკამაც სცადა. მინის ჯოხით თავი მოუყარა ძაფებს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ძაფები წყდებოდა. მის ფეხთით უკვე, ბღუჯა-ბღუჯა ეყარა თივთიკივით რბილი ძაფის ფთილები. ბაბინები ძალიან სწრაფად ბრუნავდნენ, ხელის შეხება შეგეშინდებოდა. როგორც იქნა, დაძლია ალიონკამ შიში, ძაფებს ერთად მოუყარა თავი და კოჭობთან მიიტანა. კოჭობმა პირი მოსდო ძაფს და ისე დატრიალდა, გეგონებოდათ, ძაფი არც კი იძვრისო. დაჭიმული იყო და სწრაფად იხვეოდა; რაღაც საოცარი ფერი ჰქონდა, ბრიალებდა, ბზინავდა. კოჭობი სწრაფად და თანაბრად მსხვილდებოდა.

— შენ აღარ ხუმრობ, — უთხრა გახარებულმა დედამ, — ახლა ნარჩენი ღუმელთან ყუთში ჩაყარე და საამქროში გაიარ-გამოიარე, დაათვალიერე აქაურობა, სულ ბოლოს გადასახვევი საამქროა. ნახე, როგორი დაზგები დგას.

ალიონკამ მთელი ბღუჯა მინის აბლაბუდა მოაგროვა, ყუთში ჩაყარა. საამქროს გაჰყვა, ჩაუარა მაღალ თეთრ სვეტებს, რომლებზედაც კიდული ავტომატური ხაზის კრონშტეინები იყო გამართული. თავს ზემოთ თეთრი, ლურჯი, ნარინჯისფერი კოჭობებით დატვირთული კასეტები მიცურავდა.

სახვევ საამქროში არ შესულა. კართან დადგა და ყური მიუგდო დაზგების ხმაურს. მათზე მინის ძაფები ფართო ბაბინებიდან ვერტიკალურ კოჭებზე იხვეოდა და ისევ დედასთან ბრუნდებოდა.

— ათასფერადი მაქოები ვნახე, რატომ არის მაქოები ფერადი? — ჰკითხა ალიონკამ დედას.

— სხვადასხვა ნომრიანი ძაფებია. შეფერილობაც სხვადასხვა აქვს და ამიტომ არის სხვადასხვა ფერისა. ახლა ამას დააკვირდი.

დედა მეზობელ ღუმელთან მივიდა, ქალს რაღაც ჰკითხა, რაღაც აჩვენა. ალიონკა მარტო დარჩა. უჩვეულო იყო ყველაფერი და ეს უჩვეულობა ძალზე ახარებდა. დროდადრო მაღლა ტკაცუნებდნენ დოზატორები, უხმოდ ტრიალებდნენ ფირზე კოჭობები, ზემოთ კი დაუსრულებლად და ჩუმად მისრიალებდა თეთრი აბლაბუდა. იგი მთლად იმ მსუბუქ, ჰაეროვან აბლაბუდას წაგავდა. შემოდგომაზე რომ ფრიალებდა ხოლმე დვინის ზედაპირზე. ალიონკას ლოყები უხურდა. ეგონა, ძალიან დიდი ხანია, რაც აქ, ელექტროღუმელებთან ვმუშაობო. სულს უხაროდა, გული ხარობდა. ამ საამო გრძნობით გამსჭვალულს ძალიან სწყდებოდა გული, როცა იქაურობას სტოვებდა. ალიონკა აივანზე გავიდა. გიზგიზებდა ცეცხლად ანთებული ქალაქი. ლაპლაპებდნენ ქვაფენილის კიდეზე ჩამწკრივებული თელები. იქით კი, უჩვეულოდ მსუბუქი, თაღოვანი ხიდი მოჩანდა დვინაზე. თავზე ცისფრად დაჰნათოდა გლობუსივით პლაფონი და ამ შუქზე უცებ შეამჩნია, რომ ათასფრად აუციმციმდა სახელოები, კაბის კალთები. ათასფერ მოციაგე წვრილ ვარსკვლავს დაეფარა მთელი ტანსაცმელი. იფიქრა, ერთს მაინც ავიღებ ხელშიო. მაგრამ ფრჩხილის წვერითაც კი ვერ აიღო ნამცეცი. ეჩვენებოდა, თითქოს ყველა მას უცქერდა, ეგონა, რომ ყოველი გამვლელი მასზე ფიქრობდა. ეჩვენებოდა, რომ ყველა ხედავდა ამ მოციმციმე აბლაბუდებს მის ტანზე და გონებაში ყველა ამბობდა, ეს რა ყოჩაღი მუშა შემოგვმატებიაო.

ხიდზე ალიონკა ერთხანს შედგა, მიმოიხედა და ქვემოთ, შავ წყალში ატივტივებული ქარხნის სილუეტი დაინახა. დაინახა და იმ დიდი ცხოვრების ნაწილად იგრძნო თავი, ქარხნის ფანჯრების მიღმა რომ დუღდა. წარმოიდგინა სკოლა, ის მომავალი საღამო, სადაც უნდა გამოსულიყო და გაიფიქრა: კი, ნამდვილად ბევრი რამ მაქვს საამბობი. დიახ, ბევრი რამ ექნება მოსაყოლი. და ეს ყველაზე, ყველაზე საინტერესო ამბავი იქნება, რადგან, ალბათ ქვეყანაზე არ არსებობს იმაზე საინტერესო საქმე, რასაც ალიონკას დედა აკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოფელი
დნეპრის კირას

ლიუდა
სმოლიჩი.

მინსკის
პიონერთა
სასახლე

უფროსი ბავშვები

კითხულობ...

დილა მშვიდობის —
ჩემო მუხებო,
დილა მშვიდობის —
მზეო!
თქვენც წყაროებო —
მოჩუხჩუხენო,
დილა მშვიდობის —
დღეო!..
დილა მშვიდობის —
ჩიტებო,
დილა მშვიდობის —
ოქროს ძნებო!
დილა მშვიდობის —
ბიჭებო,
დილა მშვიდობის —
გოგონებო!..
დილა მშვიდობის —
ბალახებო,
დილა მშვიდობის —
არყნარო!
დილა მშვიდობის მშობლიურო,
ჩემო საყვარელო ბაღნარო!..
შენ, მადლი და სიკეთე
არ დაგვამადლო, მზეო! —
დილა მშვიდობის —
ლამაზად
გათენებულო დღეო!..

ნატაშა ნოვიკოვა.
გომელის ოლქის ჩეჩერსკის მე-2
საშუალო სკოლის მოსწავლე

ივან ანოშკინი

ეშმაკობა

სახან მიხასი ანდრეიკა ერთად იჯდა ძერხზე, საქმე ჩინებულად მიდიოდა. არითმეტიკის საკონტროლოს შუადამ ანდრეიკა აწერინებდა, აკეთინებდა, კარნახობდა და სამიანიც ჭუდამ ნაღდი ჰქონდა. ხუთიანებს სხვებმა ადიონ, მე სამიანებზეც ყაბულია ვარო. გუნებაში ფიქრობდა მიხასი.

არდადეგების შემდეგ თამარ მასწავლებელმა ანდრეიკა წინა მერხზე დადასვა. მიხასი ყველა მოსწავლეზე ერთი თავით მაღალი იყო და უკანა მერხზე მჯდომთ უშლიდა ხელს. ასე დარჩა მიხასი უკანა მერხზე. ახლა ამის გვერდით ჭირვეული ნადია იჯდა. იგი არასგზით არ ჩაახედინებდა მიხასს თავის რვეულში... არც წინა მერხზე ჰყავს მიხასს თანამგრძნობი.

არა და, ხვალ კარნახია.

„მძიმეებია დასმაში რომ ვინმე მომეხმარებოდეს, იქნებ ანდრეიკაა დაუხმარებლად დავწერო კიდეც კარნახი!" — ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი მიხასი. — „ერთი შეხედვით მძიმე ხომ თითქოს წვრილმანი ამბავია, მაგრამ... ნურას უკაცრავად!"

თამარ მასწავლებელმა ერთხელ [illegible] ერთი [illegible] ხელ [illegible] ხახდელ [illegible] ამბავ [illegible] ერთი [illegible] დაპატიმრეს. მეფის მოხელეები რას [illegible] ეძებდნენ, დამნაშავე იყო თუ არა, [illegible] და პატიმარს ჩამოხრჩობა [illegible]. [illegible] პატიმარმა მეფეს თხოვა: შემიწყალეთ, დამნაშავე არა ვარო. მეფემ თხოვნას წააწერა: „ჩამოხრჩობა არ შეიძლება განთავისუფლება". წაწერით კი წააწერა, მაგრამ მძიმე არ დაუსვამს. იქნებ დაავიწყდა, ან შეიძლება იფიქრა, რა დიდი ამბავია, თუ მძიმეს არ დავსვამ. როგორ მოქცეულიყვნენ მეფის მოხელეები? რა არ შეიძლება, ჩამოხრჩობა თუ განთავისუფლება? ვინ გადაიკიდებს ერთი საცოდავი მძიმის გულისთვის მეფეს? არავინ! ჰოდა, იდგნენ და ეს უდანაშაულო კაცი არც ჩამოახრჩვეს და არც განთავისუფლეს. ასე იჯდა ოცი წელიწადში და, მეფე რომ გარდაიცვალა, მერეღა ეღირსა მზის შუქის ხილვა.

აი, ეს-ეც შენი მძიმე!

მეზობელი ეზოდან უმცროსკლასელთა ერიამული მოისმა და მიხასს ფიქრი გაუწყდა. მაგათ უნდა, თქვენ დიახაც ვცხოვრობთო. [illegible]

მხატვარი
ოთარ ჩხარტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი იყურება კვარცხლბეკიდან

როგორც დევგმირი,
ის კვარცხლბეკიდან
იყურება და ანათებს სივრცეს...
მან ყოველივე იცის ზეპირად:
რით ვსუნთქავთ...
გული რაგვარად გვიცემს

ის ხედავს შორზე — შორეულ
მინდვრებს,
ის ხედავს აწვდილ მილებს
და კოშკებს:
ის ხედავს...

და ის გვიყურებს, ვიდრე
არ გაეცლება სინათლე დროშებს.

მას ესმის დილით საყვირი გემთა,
მან იცის საით მიდიან გზები...
მას ესმის ჩვენი გულების ფეთქვა
დგას მომავლისკენ გაშლილი ხელით.

განათებულნი ვართ მისი სიბრძნით,
ხელით გვიჩვენებს სავალ გზა-შარებს...
კაცობრიობაც მისი გზით იძვრის
და მისი სიბრძნე აგებს კაშხალებს.

...ეს ლენინია...
ის კვარცხლბეკიდან
იყურება და გასცქერის შორეთს...
მან ჩვენი ყოფა იცის ზეპირად
და მას ვენდობით ბელადს და მშობელს.

ანატოლი კისელი,
მინსკის ოლქის კლეცკის
რაიონის, ნაგორნის საშ.
სკოლის IX კლასის მოს-
წავლე.

გულში მიხასმა და პატარებს გადახედა.

ტკაც-ტკუც. ტკაც-ტკუც. — მოისმა ეზოდან.

ნეტა ეს რა თამაში მოიგონეს. ბოძებზე რათ აკაკუნებენ? — გაიფიქრა მიხასმა და ეზოში შევიდა.

— ტელეგრაფია.. — აუხსნა ცხვირპაჭუა ბიჭმა. — დეპეშებს ვუგზავნით ერთმანეთს...

— აბა მიმიშვი...

მიხასმა ისე შემოჰკრა ჯოხი ბოძს, რომ ტელეფონის მავთულებმა დაიზუზუნეს. შელებილი ჯოხი კი ნაფოტებად იქცა. ბალღები ახმაურდნენ. ცხვირპაჭუა კი ატირდა კიდეც. მიხასმა გადაიხარხარა და ეზოდან გავარდა, იმ არემარეს კარგა შორს რომ გასცილდა. უცებ თავში აზრმა გაუელვა:

— ტელეგრაფი?!. აი მესმის! კარნახისათვის მისწრება იქნება!

მეორე დღეს მიხასმა თავისი მეგობარი ბნელ კუთხეში, კარადასთან მიიყვანა და აუხსნა ყოველივე. ანდრეი ჯერ ვერაფერს მიხვდა.

— რა ვერ გაიგე, ანდრეი! — ჩურჩულებდა მიხასი, — როცა წინადადებაში მძიმე შეგხვდება, — დაახველე. როცა ორი წერტილი — ორჯერ დაახველე. ხველა კარნახი ხომ არ არის, ვინ დაგიშლის! ჯაყვას გაჩუქებ. გახსოვს, ჯიბის ნათურაში გამიცვალეო. რომ მთხოვდი? — არ ეშვებოდა მიხასი.



თამარ მასწავლებელი უხმოდ მიმოდიოდა მერხებს შორის. აუჩქარებლად კარნახობდა, კლასში კალმების ფხაჭუნი და ანდრეის ხშირი ხველა ისმოდა. ნადიას თავი გვერდზე გადაეხარა, ენის წვერი მოუჩანდა მოკუმული ტუჩებიდან. დაწერდა წინადადებას და, მიხასმა არ მოჰკრას თვალიო, იმწამსვე საშრობს დაიფარებდა ზემოდან. ფუჭ, ნამდვილი ძუნწი კარაპეტა არ არის! ვნახოთ, ვნახოთ, ვინ უკეთ დაწერს! მასწავლებელი დამარცვლით, გამოთქმით კარნახობდა. ხოლო სასვენი ნიშნებისა მიხასს აღარ ეშინოდა.

— კხე. კხე, — ისმოდა წამდაუწუმ, ანდრეის ხველება.

— რა ხველა აგიტყდა, ანდრეი? — ჰკითხა თამარ მასწავლებელმა.

— გუშინ გავცივდი ცოტა, — სახე აუფაკლდა ანდრეის, ისევ ჩაახველა და რვეულში მძიმე დასვა.

მეორე დღეს თამარ მასწავლებელმა მოიტანა გასწორებული რვეულები. ანდრეის ხუთიანი მიუღოცა. ცუდი ხელი გაქვსო უსაყვედურა ნადიას, — მაგრამ მაინც ოთხს გიწერო. გაიხარა მიხასმა, დარწმუნებულია სამიანი ნაღდად მექნებაო, მაგრამ რატომ არ იძლევა თამარ მასწავლებელი რვეულს?

— შენ კი, მიხას, ასე არასოდეს გამოგიჩენია თავი! — მიუბრუნდა ბოლოს მასწავლებელი, — ორი წერტილი რთული სიტყვის შუაში დაგისვამს!

ძლივს დაირეკა ზარი. მიხასი მუშტშეკრული ეცა ანდრეის.

— აი თურმე როგორი ყოფილხარ! — თავად ხუთი მიიღე, მე კი ნული მიმაღებინე.

ანდრეი დაბნეული იყურებოდა.

— ვერ გავითვალისწინე, რომ მე ნელა ვწერ. შენ კი... ნეტა რა გეჩქარებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდრეკელი ესპანეთის შვილი

ა. პეგროვიჩი

„შესაძლოა ჩვენ ყველანი დავიღუპოთ, მაგრამ შენ, ჩემო შვილო, მაგრად უნდა იყო. გახსოვდეს ჩვენი იდეალი, ბრძოლისათვის მზად იყავი, არ დაიშურო ძალღონე, იყავი მზად, რათა თავი გასწირო ჩვენი საქმისათვის.

შრომაც უნდა ისწავლო და პოლიტიკურ საკითხებში გარკვევაც უნდა შესძლო. ფიზიკურადაც ძლიერი უნდა იყო. ისწავლე თეორია. ეს საშუალებას მოგცემს მარქსისტული პოზიციით მიუდგე ყველაფერს. იყავი ერთგული ყველა ამხანაგისა. არასოდეს არ დაეჭვდე, რომ კომუნიზმი — ერთადერთი იდეალია, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლის შეწირვა“.

ასე სწერდა ესპანელი ხალხის ერთგული შვილი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დოლორეს იბარური თავის შვილს, რუბენს, მაშინ, როცა რესპუბლიკური ესპანეთი ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა.

„ბრძოლა, თავისუფლება, რევოლუცია“... ეს სიტყვები ადრე გაიგონა რუბენმა მშობლებისაგან. 13 წლისა იგი მშობლიურ სოფელ სამოროსტრადან მადრიდს ჩავიდა. კომუნისტური პარტიისათვის იმ მძიმე დღეებში ბიჭი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და პარტიულ გაზეთებს ჰყიდდა, გუშაგობდა ფარულ პარტიულ კრებებს, მონაწილეობდა პოლიტიკური პატიმრებისათვის ფულის შეკრებაში. დოლორეს იბარური ხშირად მოგზაურობდა, ამიტომ, შვილები — რუბენი და ამალია საბჭოთა კავშირში გამოგზავნა. ამალია ქ. ივანოვოს საბავშვო სახლში იზრდებოდა, რუბენი კი — პანტელეიმონ ნიკოლოზის ძისა და ოლგა ბორისის ასულ ლეპიოშკინების ოჯახში. ამ მეგობრული ბოლშევიკური ოჯახიდან მოვიდა რუბენი სამუშაოდ მოსკოვის ავტოქარხანაში (დღეს ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანა). ჯერ მეყალიბის შეგირდი იყო, შემდეგ — ზეინკლის თანაშემწე, ბოლოს ხელსაწყოების საამქროში გადაიყვანეს.

1936 წელს, როცა ესპანეთს მძიმე დღეები დაუდგა, რუბენი სამშობლოში დაბრუნდა და ესპანელ პატრიოტებთან და ინტერნაციონალურ ბრიგადებთან ერთად იბრძოდა კატალონიაში.

შემდეგ იგი ისევ საბჭოთა კავშირში დაბრუნდა და საავიაციო სასწავლებელში დაიწყო სწავლა.

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე რუბენი საბჭოთა არმიის რიგებშია. „სანამ საბჭოთა მიწაზე ერთი ფაშისტი მაინც იქნება, მე რა გამაძლებინებს ჩემს სამშობლოში, ჩემიანებთან. ჩემი ადგილი აქ არის, ბრძოლაში“ — წერდა იგი.

1942 წლის 5 ივლისს დივიზია, რომელშიც რუბენი მსახურობდა, სტალინგრადში გადაგზავნეს. ერთ-ერთ ბრძოლაში ბატალიონის უფროსი დაიღუპა, იგი რუბენმა შეცვალა და მტერს უკან დაახევინა. იმავე წლის სამ სექტემბერს სტალინგრადთან ახლოს, სოფელ ვლასოვკასთან რუბენ იბარური მტრის ტყვიით განგმირული დაეცა.

სამი წელია უკვე ვიტებსკის მე-19 საშუალო სკოლის VII კლასის პიონერული რაზმი რუბენ იბარურის სახელობისაა. თავიანთ მასწავლებელ ლილია ვოლოდინასთან ერთად ნორჩი ლენინელები ეწვივნენ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანას, სადაც რუბენი მუშაობდა. ბავშვები იყვნენ მოსკოვის მე-500 სკოლაში, სადაც რუბენ იბარურის მუზეუმია დაარსებული. ამ სკოლის პიონერული ორგანიზაცია რუბენ იბარურის სახელობისაა. ბევრი საინტერესო რამ უამბო პიონერებს რუბენის შესახებ ვორონეჟის მცხოვრებმა ივანე ციპულიამ. სამამულო ომის დაწყებამდე ისინი ერთად სწავლობდნენ სამხედრო სასწავლებელში და ერთ ოთახში ცხოვრობდნენ.

ბავშვების ოცნებაა ეწვიონ ვოლგოგრადს, გმირების მოედანზე თავი დახარონ ძმათა სასაფლაოსთან, სადაც ათობით საბჭოთა მებრძოლთან ერთად დასაფლავებულია შეუდრეკელი ესპანეთის შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი რუბენ იბარური. პიონერები ფიცს დებენ, რომ არ შეარცხვენენ რუბენ იბარურის სახელს

ჯაჭვინი

მარკ სმაგაროვიჩი

ხატინი* — ჩემი უსაზღვრო სევდა.
საკვამურები არ ბოლავს ბუხრის...
სახე მეღუშვის
და გული კვდება
და დახვრეტილთა ხსოვნას თავს ვუხრი.

აქ, რომ ვუყურებ ყვავილის კოკორს,
პატარა ბიჭის მგონია მუშტი...
ოღონდ არ გასკდეს,
ეს გული, ოღონდ —
მტრისადმი ზიზღი გროვდება გულში.

აქ, საწყალ, თოთო ბალღიან დედებს,
ერეკებოდნენ კონდახის ცემით...
და იყო წყევლაც —
იღბლის თუ ბედის
და აკვდებოდათ სახეზე ცრემლი.

თითქოს ვიხრჩობი
და სუნთქვა მიჭირს,
თითქოსდა ტვინში გუგუნებს ქორო...
აქ განისვენებს ქოჩორა ბიჭი,
რომელიც დედას იცნობდა მხოლოდ.
ოღონდ არ გასკდეს,
ეს გული, ოღონდ —
ლამის გამგუდოს ბოღმამ თუ ბრაზმა...
აქ განისვენებს პატარა გოგო,
რომელმაც ვეღარ მოასწრო გაზრდა.
თვალებზე მეკვრის ლიბრი თუ ნისლი,
ვხედავ ჯალათის სახეს — ცივ ნიღაბს...
იგი იცინის და ტყვიებს ისვრის
და დასახვრეტად ბალღები მიჰყავს.
...ახლა აქ მდგარი მოხუცის ძეგლი
მკერდით პატარა შვილიშვილს ფარავს...
ის მოგვიწოდებს — ხსოვნას იმ ძვლების —
ის დღე გვახსოვდეს მარად და მარად.

---

* ხატინი — ბელორუსული სოფელი, რომელიც ფაშისტებმა გადაწვეს და დედაბუდიანად გაქელიტეს იქ მცხოვრებნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარცმა ეროვნ

პეტრო პრიხოდკო

შეკრულნი იყვნენ მუშტად და ფიცად,
ჯარისკაცებმა მძიმე გზა განვლეს...
ახლა კი მწვანით ლაღობს ეს მიწა,
ახლა ბუნება თავის შუქს ავლენს.
ეს მიწა ბატკა მინაის[1] გახლავთ,
აქ იკვრის მისი დიდების რკალი...
და თუ აქ, ახლა, სიცოცხლეს ნახავთ,
ეს ნიშნავს ცოცხლობს გმირობის კვალი.
ეს მიწა გახლავთ ხორუჟის მიწაც,
ვერა ხორუჟის[2] — ამაყი ქალის...
მასაც მიაჩნდა ეს მიწა ღვიძლად
და მოუხადა თავისი ვალი.
ეს მიწა სხვათა მიწაა კიდევ,
ეს მიწა სხვებსაც გვიყვარდა დიდად,
ეს მიწა ბევრზე ბევრ ცრემლებს იტევს,
ეს მიწა თავის გაწირვად ღირდა.
აქ გაუვლიათ მებრძოლებს რწმენით,
გამარჯვებისკენ მიმავალ გზებზე...
თუმცა გასულა მრავალი წელი, —
მათ დაუვიწყარ ნაკვალევს ვეძებთ.
...ჩვენ ბრძოლაც ვიცით,
შენებაც ვიცით,
თავის მიეზღო მტერსა და ოხერს...
და შუქს და სხივებს მშობლიურ მიწის,
ფაქიზად ვაქსოვთ ჩვენეულ ნოხებს.

---

[1] ბატკა მინაი (მამა მინაი) — პარტიზანთა ლეგენდარული კომისარი — საბჭოთა კავშირის გმირი.

[2] ვერა ხორუჟი — ცნობილი იატაკქვეშელი ქალი — საბჭოთა კავშირის გმირი.

ყვავილი და ტკივილი

ნიკოლოზ იანჩენკო

ჩანახატი

მასწავლებელმა მაგიდიდან თაიგული აიღო და გვკითხა:

— ბავშვებო, რა ჰქვია ამ ყვავილს?

— ბაია, — უპასუხა ნიკოლამ და დაუმატა: — ეს ყვავილი ადამიანს ტკივილს აყენებს.

— როგორ თუ ტკივილს აყენებს? — გაუკვირდა მასწავლებელს.

— ეს ყვავილი რომ კანზე დაიდო, კანი დაგიჩირქდება.

— მერედა, რატომ უნდა დაიდო კანზე? — ვერაფერს მიხვდა მასწავლებელი.

— ახლა არ იდებენ, ომის დროს კი იდებდნენ. გერმანიაში რომ არ წასულიყვნენ, ფაშისტებისათვის რომ არ ემუშავნათ. მამიდამაც დაიდო. მთელი ღამე კვნესოდა, დილით ხელი გასიებული ჰქონდა, ალისფრად უღვიოდა.

— დაჯექი ნიკოლა, — თქვა მასწავლებელმა, — დაჯექი და ბაიაზე ნუ მოგივა გული. ყვავილმა რომ ადამიანს ტკივილი მიაყენა, ომის ბრალი იყო, ყვავილისა კი არა.

პეპელა და ყვავილი.

ლეონიდ რუსანოვი.

მინსკის პიონერთა სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობი კაცი

ბელორუსული ზღაპარი

ერთ სოფელში ახალი თავკაცი აირჩიეს. სოფლის თავკაცობა არც ისე დიდი თანამდებობაა, მაგრამ გააჩნია — ვისთვის. გონიერი კაცი, სადაც არ უნდა მუშაობდეს, ჭკუას არ დაჰკარგავს, სულელი კი, როგორც იტყვიან, თუ გინდა მეფედ დასვი, მაინც სულელად დარჩება.

ერთი სიტყვით, ახალი თავკაცი პან ცურუბალკა, — ასე ეძახდნენ მას, — ისე გაყოყლოჩინდა, რომ იმისი ნახვა დიდი ამბავი გახდა. ცხვირსაც ვერ შეჰყოფდი იმასთან. გლეხებს ისე უყვიროდა, თითქოს ერთი დიდი ვინმე, ასესორი* ყოფილიყო. თუ იმისი ნება-სურვილი არ იყო, ვერავინ ვერც ამოიოხრებდა და ვერც დაამთქნარებდა.

ერთხელ ეს თავკაცი მშვიდად იჯდა სავარძელში, როგორც უფროსს შეეფერება, თან ცხვირს იჩიჩქნიდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეთქვა სახელი. ამ ეროს უცებ ქუჩაში მომავალი კაცი დაინახა. ამ კაცს არც ახალგაზრდა ეთქმოდა და არც მოხუცი. ვერც იმას იტყოდით, უბრალო კაციაო, მაგრამ არც გვარიშვილობისა ეცხო რამე. მოდიოდა თავისთვის და ყალიონს ეწეოდა.

„ისე, ურიგო არ იქნება, თუ გავიგებ ეს კაცი ვინ არის, ან რა სულიერია“, — გაიფიქრა თავკაცმა. ადგა და თავისი მდივანი იხმო.

— იმ კაცს ხედავ? — ჰკითხა მან.

— ვხედავ, ბატონო.

— მაშინ გახტი ერთი შენებურად და შეიტყვე, რა ფრინველია. ეშმაკმა იცის, იქნებ ქურდია?..

ქუჩაში მომავალმა კაცმა თავკაცის გამოგზავნილ კაცს ახედ-დახედა და უთხრა:

— წადი, შენ ახალ თავკაცს — პან ცურუბალკას უთხარი, შენზე სულელი კაცი მეორე არავინ დადის ამ ქვეყანაზეთქო. — გადააფურთხა და თავისი გზით გასწია.

მდივანი თავკაცთან დაბრუნდა და მოახსენა:

— ჩანს, თქვენი კარგი ნაცნობი იყო ის კაცი.

— ჩემი ნაცნობი? — გაიოცა პან ცურუბალკამ.

— დიახ.

— საიდან ვიცნობო?

— ეგ არ უთქვამს, მაგრამ ის კი ძალიან გარკვევით თქვა, პან თავკაცო, თქვენზე, რომ მაგისთანა სულელი ქვეყანაზე მეორე არავინ დადისო! აბა კარგად რომ არ გიცნობდეთ, ამას შემოგითვლიდათ?

თავკაცს სიმწრისაგან ისე დაემანჭა სახე, თითქოს საპონი შეაჭამესო.

დაამუშავა ალესია იაკიმოვიჩმა.

---

* ასესორი — რომელიმე მნიშვნელოვანი დაწესებულების ხელმძღვანელი.

გივი ალხაზიშვილი

•

პატარა ხელებს ცისაკენ იშვერს,
ფარფატა ფარნებს უცქერის ბავშვი.
მხურვალე ქვიშა,
მხურვალე ქვიშა,
მხურვალე ქვიშა
და გემი ზღვაში.

და ოცნებაში თოლიებს ვხატავ
მეხება მხრებზე შრიალა ტოტი.
აგვისტოს ხვატი,
აგვისტოს ხვატი,
აგვისტოს ხვატი —
მთვლემარე პორტი.
და მე არ ვიცი თუ საით ვივლი
და მაინც მივალ, მივდევ იმ შარას —
ზღვის საიდუმლოს,
ზღვის საიდუმლოს,
ზღვის საიდუმლოს
მიმხელს ნიჟარა.

•

მკრთალი ღრუბელი დასალიერზე
მიფრინავს, როგორც დაღლილი წერო,
შემოდგომაა
და ალმაცერი
მზე იხედება.
შრიალა ბაღი დაცარიელდა,
მხოლოდ გამხმარი ბალახის ღერო
სუსტი სხივივით ანთია სადღაც.

ოთში დაღუპულ მამაკაცს

ბოლავს ჭრაქი,
ღამე სახლში შემოდის,
ჭრაქის შუქი ღამეს ეთამაშება.

მამის მოსვლას
დიდხანს, დიდხანს ელოდნენ
ბნელ კუთხეში მიყუჟული ბავშვები.

ისე მძიმედ ეცემიან წვეთები,
ისე მძიმედ ეცემიან ყავარზე,
თითქოს სხვენზე სხედან ბერიკაცები,
სიჩუმეში კრიალოსანს მარცვლავენ.
ბოლავს ჭრაქი,
ღამე სახლში შემოდის,
ჭრაქის შუქი ღამეს ეთამაშება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენგურიჰესზე ბოლოდროინდელ

ბავშვებო, ყოველმა თქვენგანმა იცის, რომ მდინარე ენგურზე გრანდიოზული და ურთულესი ჰიდროელექტროსადგური შენდება. მისი თაღოვანი კაშხალი (271 მეტრი სიმაღლისა) ერთ-ერთი უმაღლესია ჩვენს პლანეტაზე.

ასეთი კაშხალის ასაგებად საჭიროა 3 800 ათასი კუბური მეტრი დიდი სიმტკიცის ბეტონი. მთელი ეს ბეტონი თბილისში, ხუდადოვის ტყესთან რომ დაიყაროს, ქალაქში მეორე მთაწმინდა აღიმართება. ზოგიერთი სპეციალისტის გამოანგარიშებით, თუ კაშხალს იმ ტექნიკური საშუალებებით ააგებდნენ, რომლებსაც ზაჰესის მშენებლობაზე იყენებდნენ, მაშინ კაშხალის აგება ორნახევარი საუკუნის შემდეგ დამთავრდებოდა.

საქართველოს ეს ენერგეტიკული გიგანტი ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურს 45-ჯერ გადააჭარბებს სიმძლავრით, ხოლო ერთიხუთად — ხრამჰეს I-ს, ხრამჰეს II-სა და ლაჯანურჰესს ერთად აღებულს. ენგურჰესის კასკადის სიმძლავრე დაახლოებით მილიონნახევარი კილოვატი იქნება. ეს თითქმის ერთიორად აღემატება რესპუბლიკის ყველა ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს.

ენგურჰესის ამუშავება გადაწყვეტს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის იაფი ენერგიით უზრუნველყოფის პრობლემას; შექმნის იმის საშუალებას, რომ გადაიჭრას მდინარეების — ენგურისა და ერისწყლის ქვემო წელის ათასობით ნოყიერი მიწების ამოშრობისა და მორწყვის საკითხი.

როცა გიგანტურ ნაგებობასა და იმ უდიდეს სარგებლობაზე ვლაპარაკობთ, რასაც ენგურჰესი ახლო მომავალში მოგვიტანს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ადამიანი, რომელმაც პირველმა მოინდომა მდინარე ენგური უდიდესი ძალის ელექტროენერგიად ქცეულიყო. ეს ადამიანი გახლდათ ცნობილი ქართველი განმანათლებელი და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე.

სწორედ ამ სასიქადულო მამულიშვილის ცხოვრების ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს ინჟინერი ნ. დრე კარბელაშვილი დოკუმენტურ ნარკვევში, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

1911 წელი. პეტერბურგი.

რაც უფრო უახლოვდებოდა ეტლი ფელიქს როპის სახლს, მით უფრო ღელავდა ნიკო ნიკოლაძე. ფ. როპი მისი კარგი ნაცნობი იყო და ყოველთვის თავაზიანად ხვდებოდა, მაგრამ, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ამჯერად მათი საქმიანი საუბარი.

ფიქრებში წასულმა ნიკოლაძემ ვერცკი შენიშნა, როგორ გაუხვია ეტლმა ნევის პროსპექტიდან და ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

— ბარონ როპის სახლი, — დინჯად და ხმამაღლა შეახსენა მეეტლემ.

ფ. როპი გულთბილად შეხვდა კავკასიიდან ჩასულ ნიკოლაძეს. როცა ორივენი სასტუმრო დარბაზის რბილ სავარძელში ჩასხდნენ, მასპინძელმა პირდაპირ უთხრა სტუმარს.

— დარწმუნებული ვარ, რომ რაკი ამდენი დღის ნამგზავრი პირდაპირ ჩემთან მოხვედით, რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე ხართ ჩამოსული.

— ფელიქს თეოფილეს ძევ, საქართველოში არის მდინარე ენგური... აი, დახედეთ რუკას.

ნიკოლაძემ პიჯაკის უბიდან რუკა ამოიღო, მაგიდასთან მივიდა და გაშალა.

— ეს მდინარე წყალუხვი და დაუდგრომელია, სვანეთის მთებიდან შავ ზღვამდე მთებსა და კლდეებს აპობს, მისი კალაპოტი ზოგიერთ ადგილას მიხერხებულია კაშხალის ასაგებად.

— ოო, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აპირებთ?

— დიახ, სწორედ ამიტომ მოვედი თქვენთან. — და ნიკოლაძე აღტაცებით აცნობდა მასპინძელს ენგურის უზარმაზარი ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას. — თუ ენგურმა ელექტროენერგია მოგვცა, მაშინ შეგვიძლია ჭიათურის საბადოების ბაზაზე ფეროშენადნობის საქმეც მოვაგვაროთ, რასაც დიდი მომავალი აქვს.

— ბატონო ნიკო, — უცბად როპი ფეხზე წამოდგა და მისკენ გაემართა, — მე პრაქტიკოსი ელექტრომეტალურგი ვარ, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. მართალი გითხრათ, დავინტერესდი თქვენი იდეით, ოღონდ, ნება მომეცით, თვითონ ჩამოვიდე და ენგური საკუთარი თვალით ვნახო. ხომ იცით, გაგონილს ნახული სჯობსო.

ნიკოლაძე არ მოელოდა, თუ ფ. როპი ასე სწრაფად მიიღებდა გადაწყვეტილებას. შეცბა კიდეც. მერე კი მაგრად ჩამოართვა ხელი მასპინძელს და გადაეხვია.

იმ საღამოს გვიანობამდე ისაუბრეს სტუმარმა და მასპინძელმა კავკასიის ამბებზე, პეტერბურგის სიახლეებზე.

ქუჩაში გამოსულმა ნიკოლაძემ საყელო აიწია და დინჯად გასწია სასტუმროსაკენ, რომელიც იმავე კვარტალში იყო.

როგორი აღელვებული მიდიოდა თბილისიდან და რა ბედნიერი მიაბიჯებდა ახლა იგი პეტერბურგის ქუჩებში!

●

პეტერბურგიდან დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე მოუთმენლად ელოდა საქართველოში ფ. როპის ჩამოსვლას. რამდენჯერმე დეპეშაც გაუგზავნა, როდის ჩამოხვალთო.

1912 წლის 25 იანვარს ფ. როპმა წერილი მისწერა ნ. ნიკოლაძეს, ავადმყოფობამ ხელი შემიშალა დაპირებულ დროს ჩამოსვლაშიო. თან დასძენდა: „ახლა მე ვყიდულობ ყველა საჭირო ინსტრუმენტს, უმთავრესად — წყალზე დაკვირვებისათვის. აუცილებელი იქნება მოეწყოს სამეთვალყურეო პუნქტი დაახლოებით მდინარის მთებიდან გამოსვლის ადგილას. ჩემი ფიქრით, ასეთ ადგილად შეიძლება გამოდგეს სოფელი

ჯვარი. საჭირო იქნება, აგრეთვე, მოინახოს ადგილობრივი მცხოვრები, საკმაოდ გამგები და კეთილსინდისიერი, რომ დღეში ორჯერ ჩაიწეროს წყლის დინების სიჩქარე და დონე იმ ხელსაწყოთი, რომელსაც მე ჩამოვიტან".

ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარის სანაპიროებზე მიწის ნაკვეთის შესყიდვას და წყლის გამოყენებაზე უფლების მოპოვებას მოითხოვდა. საჭირო იყო 26,5 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შედგენა. ყოველივე ამის თაობაზე ერთმანეთთან სისტემატური მიმოწერა ჰქონდათ ნ. ნიკოლაძესა და ფ. როპს.

1912 წლის 7 მაისს ფ. როპი ნ. ნიკოლაძეს სწერდა, რომ დაიწყო მოლაპარაკება პროფესორ ბ. ბახმეტევთან ჰიდრავლიკური დანადგარის პროექტის შედგენაზე და სხვა სამუშაოების ჩატარებაზე, რაც 10-15 ათასი მანეთი ჯდებაო. ამასთან გამოსთქვამდა მოსაზრებას, ჰიდროელექტროსადგურისათვის ალბათ საჭირო იქნება მიწების შესყიდვა ენგურის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე ჯვარიდან კვამდეო (პურაშიდან და ხუდონიდან დაახლოებით 5-6 ვერსზე). პეტერბურგში შეთანხმების თანახმად, ნ. ნიკოლაძეს როპისთვის უნდა ეცნობებინა, თუ ვისთვის რამდენი ფული უნდა გადაეგზავნა ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად.

ნ. ნიკოლაძემ ენგურის სანაპიროებზე ჰიდროელექტროსადგურისთვის საჭირო მიწების შესყიდვა და გლეხებთან მოლაპარაკება ბესარიონ ხოფერიას დაავალა, რომელმაც დაადგინა, რომ ჰიდროელექტროსადგურისათვის საჭირო მიწები სოფელ კვადან ლაქორიამდე, სადაც ენგური ვიწრო კალაპოტიდან გამოდის, 8 ვერსზე იყო გადაჭიმული და მდინარის ორივე მხარე თავად დადიანს ეკუთვნოდა. ენგურის მარჯვენა მხარეს ლაქორიას პირდაპირ ხვიჩიები და ხასიები ცხოვრობდნენ, ხოლო ლაქორიას ზევით — ქარდავები და დგებუაძეები. ყველა მათგანთან საჭირო იყო მოლაპარაკება მიწების შესყიდვის თაობაზე. ბ. ხოფერიას მიეცა ფ. როპის მინდობილობა, რომელიც ადასტურებდა, რომ მას ნება ჰქონდა როპის სახელით შეესყიდა ზუგდიდის მაზრაში ენგურის ორივე მხარეს მდებარე მიწები და ყველა უფლება მდინარეზე სოფ. პურაშიდან ჯვარის საზღვრამდე, ე. ი. სოფ. ლიამდე მდინარის მარცხენა მხარეს და სოფელ ფახულანამდე მდინარის მარჯვენა მხარეს.

როგორც ნ. ნიკოლაძის არქივში შემონახული საბუთებით ჩანს, ჯვარში მოეწყო სამეთვალყურეო პუნქტი, სადაც ენგურის დონეზე და მის სიჩქარეზე დაკვირვებები წარმოებდა. დაკვირვებებს ადგილობრივი მკვიდრი გლეხი ანტონ მათუა იწერდა.

მალე პეტერბურგიდან ჩამოვიდა ინჟინერი ბ. ბახმეტევი, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში. 1912 წლის 21 აგვისტოს ფოთში ფ. როპიც ჩამოვიდა. ამ დროისათვის ნ. ნიკოლაძე ფოთში არ იყო და როპი მის შვილთან, გიორგისთან ერთად გაემგზავრა ენგურზე.

ფ. როპი მეორედაც ეწვია ენგურს და ისევ დარწმუნდა თუ რა გრანდიოზული სამუშაოები იყო ჩასატარებელი ამ უდიდესი ენერგიის დასამორჩილებლად.

1913 წლის 28 მარტი. პეტერბურგი.

ფ. როპი თავის კაბინეტში დაფიქრებული ბოლთას სცემს. ზოგჯერ მაგიდაზე დადებულ ბარათს გადახედავს, რომლის წერაც ამ ერთი საათის წინათ დაიწყო, მაგრამ მერე თავი მიანება.

„ნუთუ ვერ გამიგებს ნიკოლოზ იაკობის ძე? ნუთუ ისეთ ადამიანად ჩამთვლის, რომელმაც იგი შუაგზაზე მიატოვა? არა, ნიკოლაძემ უნდა გამიგოს".

გართულდა ენგურის პირას მიწების შესყიდვა. მდინარის ენერგიის გამოყენებაც დიდძალ მასალასა და ხარჯებს მოითხოვდა.

ფ. როპი მაგიდასთან მივიდა, წერილის პირველ სტრიქონებს დახედა. „მე საბოლოოდ და მტკიცედ გადავწყვიტე, უარი მეთქვა ენგურის წყლის გამოყენებაზე. ენგურზე ჩემი ორჯერ მგზავრობის დროს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს საქმე მხოლოდ უზარმაზარი თანხის — 10-12 მილიონი მანეთის ფასად განხორციელდება. ასეთი თანხის გამოძებნა კი, ჯერ ერთი, ძალზე ძნელია..."

ძნელი იყო წერილის გაგრძელება.

მაგრამ როპს სხვაგვარად არ შეეძლო მოქცევა, თუმცა სინდისის ქეჯნას კი გრძნობდა...

ანტონ მათუა ნიკო ნიკოლაძეს კიბეებზე შემოხვდა.

— ოო, ჩემო ანტონ, როგორ ხარ?

— კარგად, ჩემო ბატონო. აი, უკანასკნელი დაკვირვებები ჩამოგიტანეთ პეტერბურგში გასაგზავნად.

— აბა, მაჩვენე.

კმაყოფილებით ათვალიერებდა ჩანაწერ ციფრებს, ახლაც საიმედო იყო ენგურის ყველა მონაცემი.

— შემოდი ჩემთან, ვილაპარაკოთ. — ნ. ნიკოლაძემ გლეხი ოთახში შეიპატიჟა.

— რას ამბობენ ამ ახალ საქმეზე, ჰა?

— სიმართლე რომ გითხრათ, ბატონო ნიკო, არა სჯერათ თუ ენგურს დააოკებთ.

ის იყო, ნიკოლაძეს რაღაც უნდა ეპასუხნა, რომ კარზე მორიდებით დააკაკუნეს.

— შეიძლება? — კარში ფოსტის მოხელემ შემოყო თავი.

— შემოდი. წერილია?

— დიახ, ბატონო ჩემო.

ნ. ნიკოლაძემ სწრაფად ჩამოართვა წერილი. კონვერტი გახსნა და კითხვა დაიწყო.

სახეზე უსიამოვნება დაეტყო, სკამზე ჩამოჯდა.

— რა ამბავია, თქვენი ჭირიმე? — შეეკითხა მათუამ, რაკი შენიშნა, რომ წერილმა ცუდ გუნებაზე დააყენა ნიკოლაძე.

— ეჰ, ჩემო ანტონ, აბა რა გითხრა?

აღელვებულმა ოთახში სიარული დაიწყო. მერე ფანჯარასთან მივიდა, მწარე ფიქრებს მიეცა.

გაახსენდა 1887 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" გამოქვეყნებული წერილის სტრიქონები: „...აი, მაშინ გაუთენდება აღდგომა ჩვენს მთებს! რამდენი მთის მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბადია! ეს ყველაფერი გამოიყენება, ეს აუარებელ ჩარხებს, დაზგებს, მანქანებს აამოძრავებს".

ის მაშინ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობათა დაწყებას გულისხმობდა. ახლა კი, აი ასეთი უარის წერილი მიიღო პეტერბურგიდან!

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკომ პეტერბურგში საპასუხო ბარათი გაგზავნა.

ფ. როპი ნ. ნიკოლაძისაგან ასეთ პასუხს არ მოელოდა. იგი ფიქრობდა, რომ მისგან იმედგაცრუებული კაცი ლანძღვა-გინებით აავსებდა. წერილში კი აი რა ეწერა:

„დიდად პატივცემულო, ფელიქს თეოფილეს ძევ! შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე სრულებითაც არ გამინელდა ენგურჰესის აშენების სურვილი. ნება მომეცით იმედი გამოვთქვა, რომ თქვენ არ მომაკლებთ დახმარებას რჩევა-დარიგებით და გადმომცემთ თქვენს გაანგარიშებებს..."

ნ. ნიკოლაძე კვლავაც საქმიან ბარათს სწერდა ფ. როპს და არაფრით არ იმჩნევდა გულისტკივილს.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ და დღეს მდინარე ენგურზე შენდება უნიკალური ელექტროსადგური.

დიდი ქართველი მოღვაწის — ნიკო ნიკოლაძის სანუკვარ ოცნებას ჩვენმა სახელოვანმა დღევანდელმა დღემ ფრთა შეასხა, სინამდვილედ აქცია.

ანდრე კარბელაშვილი.

პასუხი № 1 ამ მოთავსებულ ფოტოსურათზე.

იყალთოს აკადემია

ალბათ ბევრ თქვენგანს გაუგონია, რომ ჩვენში ეკლესია-მონასტრები, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, ხელოვნების სხვადასხვა დარგების, მონუმენტური თუ მინიატურული მხატვრობის, ოქრომჭედლობისა თუ ქანდაკების, კალიგრაფიის და, საერთოდ, საწიგნო ხელოვნების და ა. შ. სწავლა-განათლებისა და მეცნიერული აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ცენტრებიც იყო.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში, დავით აღმაშენებლის ეპოქაში, გარდა გელათისა, კიდევ სხვა აკადემიებიც არსებულა, მაგალითად, იყალთოში, და, როგორც გადმოცემით ვიცით, გრემშიც.

იყალთოს მონასტერი მდებარეობს კახეთში, ქ. თელავის ახლოს, ჩრდილოეთით, დღევანდელ სოფ. იყალთოს მახლობლად, ტყით დაფარული მთის ძირას. სამწუხაროდ, ჩვენამდე არც მონასტრის ეკლესიებს და არც ოდესღაც დიდებული აკადემიის ნაგებობას სრული სახით არ მოუღწევიათ. ეკლესიები არაერთგზის გადაუკეთებიათ და აღუდგენიათ, სახელდობრ, XIX საუკუნეში შეუკეთებიათ, ერთთავად შეულესავთ და კირის ხსნარით შეუთეთრებიათ, ისევე როგორც საქართველოს სხვა ეკლესია-ტაძრები. აკადემიის შენობას კი ჟამთა სიავის ხელი დასტყობია.

იყალთოს მონასტრის დაარსება დაკავშირებულია ე. წ. „ცამეტ ასურელ მამათა“ მოღვაწეობასთან, რომელნიც „წარმოშობით ქართველები ყოფილან. ისინი სამშობლოში დაბრუნებულან რელიგიური დევნის მიზეზით, რომელიც მეტ-ნაკლები სიმძაფრით VI საუკუნის თითქმის მთელს მანძილზე მძვინვარებდა სირიაში მონოფიზიტური* (ანტიქალკედონიტური) აღმსაარებლობის საეკლესიო მოღვაწეთა მიმართ. დევნილი ბერების რიცხვი გაცილებით მეტი ყოფილა, 17-ზე არა ნაკლები, ხოლო რიცხვი 13 იმ ტრადიციის შედეგად შემორჩენილა, რომელიც ქრისტესა და მისი 12 მოწაფის ანალოგიით უნდა გაჩენილიყო. საქართველოში პირველად დავით გარეჯელი მოსულა, კერძოდ, 520 წლის ახლო ხანებში, და დავით გარეჯის ცნობილი მონასტერი დაუარსებია. 543 წელს იოანე ზედაზნელი დაბრუნებულა ექვსი მოწაფითურთ, რომელთა შორის, როგორც იოანე ზედაზნელის ცხოვრების ამსახველ წიგნში დართული მოწაფეთა სიიდან ირკვევა, ყოფილა ვინმე ბერი ზენონი, რომელსაც იყალთოში დაუარსებია მონასტერი.

იყალთოს მონასტრის გალავნის შიგნით დღეს ეკლესიის სამი ნაგებობაა. ესაა „წმ. სამების“, მცირე, ამჟამად ორფერდა სახურავით გადახურული ეკლესია, აგრეთვე მცირე, დარბაზული საყდარი „ყველაწმინდისა“ და მონასტრის მთავარი, რამდენიმე მოზრდილი, გუმბათიანი ტაძარი „ღვთაებისა“.

აღნიშნულ ნაგებობათაგან უძველესი „სამების“ ეკლესია ყოფილა. ამ ნაგებობებს პირვანდელი სახით არ მოუღწევიათ ჩვენამდე. მნიშვნელოვანი გადაკეთება განუცდია „სამების“ ეკლესიასაც მიუხედავად ამისა, დადგენილია, რომ ეს ორფერდა სახურავით გადახურული ეკლესია თავდაპირველად ჯვარ-გუმბათოვანი ყოფილა, სადაც იმპოსტებზე

* მონოფიზიტები — V ს. ქრისტიანული სექტა, რომელიც იესო ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდა.

ITSOI თუ არა ეკოზიუკ ეხაკეს?

დააკვირდით გავშვებო ამ სურათს და მოგვწერეთ: რომელი ძეგლია ამ ფოტოზე გამოხატული, სად მდებარეობს იგი და რა იცით მისი ისტორიული წარსულის შესახებ?

დაყრდნობილი თაღებით გადახურული ყოველი მკლავი, გეგმაში სწორკუთხა და ტოლი ზომისა, შემდეგ გადაუკეთებიათ და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით წაუგრძელებიათ. ძლიერ თავისებური და დამახასიათებელია ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კალთებზე დატანებული ფართო და მაღალი ნიშები. ისინი, გარდა იმისა, რომ ეკლესიის სალაროსა და სადიაკვნოს წარმოადგენს, ნაგებობის ამ მონაკვეთში ამსუბუქებს კედლის სიმძიმეს და ამდენად ხუროთმოძღვრული კონსტრუქციის ფუნქციასაც ასრულებს. ეკლესია, როგორც ამას აქა-იქ ჩამოცვენილი ნალესობა გვიჩვენებს, მთლიანად რიყის ქვით ყოფილა აშენებული, რაც კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნული საშუალებას იძლევა იყალთოს მონასტრის „სამების“ ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ერთ-ერთ უძველეს ვარიანტად მივიჩნიოთ კახეთში და VI საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღდეს. ამ თარიღს მხარს უჭერს ძველი ქართული ისტორიული ლიტერატურული წყაროებიც.

იყალთოს მონასტრის განვითარების შედეგად დროთა განმავლობაში არაერთი ნაგებობა აშენდა, რომელთაგან ზოგი დრო-ჟამმა და მტრის შემოსევებმა მოსპო, ზოგი ნაგებობა კი შემდგომ ხანებში გადაკეთდა და გაფართოვდა. ასევე, მონასტრის მთავარი ტაძარი „ღვთაების“ სახელობისა, როგორც ცნობილია, სხვა, ძველი ნაგებობის ადგილას იქნა აგებული, რომელშიც მონასტრის დამაარსებელი ზენონი ყოფილა დაკრძალული.

მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობას გარკვეული გადაკეთება, რესტავრაცია განუცდია, მაინც ხერხდება თავდაპირველი ხუროთმოძღვრული ფორმების თავისებურების გამორჩევა, შესწავლა და ძეგლის აშენების თარიღის დადგენა. ერთი შეხედვით ამ სადა და არცთუ დიდი ზომის ეკლესიის მხატვრულ-კონსტრუქციულ ფორმებს გარკვეული როლი უთამაშნია კახეთის ხუროთმოძღვრების განვითარებაში. აღნიშნული ტაძარი გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა მკლავებიან, ჯვრული ფორმის გუმბათოვან ნაგებობას, ნალისებური მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდით, რომელიც ტაძრის ინტერიერს ბემით* ეკვრის. აფსიდის ორივე მხარეზე (ჩრდილოეთით და სამხრეთით) მოთავსებულია სწორკუთხედის ფორმის სამყოფელი — სადიაკვნო და სალარო, რომელთაც აღმოსავლეთის კედლებში დატანებული აქვს ნალისებური მოხაზულობის თაღით დამთავრებული ბრტყელი და განიერი თითო ნიში, რომელშიც აგრეთვე თითო სარკმელია გაჭრილი. აფსიდის სამხრეთით მდებარე სადიაკვნოს ჩრდილოეთის კედელში შეჭრილია განიერი და ღრმა ნიში, ხოლო ჩრდილოეთით მდებარეს, ნიშის ნაცვლად, აფსიდში შესასვლელი კარი აქვს, რაც მოგვიანო ხანების გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. ინტერიერში არსებული თაღები ნალისებური მოხაზულობისაა; ისინი აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე არსებულ კონსოლებს ეყრდნობა. ტაძარის გუმბათი თავისუფლად მდგარა, გეგმაში ჯვრული ფორმის ოთხ სვეტს ემყარება, რომელიც გუმბათქვეშა კვადრატულ სივრცეს წარმოქმნის. აღნიშნული კვადრატიდან წრეზე გადასვლა, რომელზეც ამოყვანილია თორმეტსარკმლიანი გუმბათის ყელი, ამჟამად განხორციელებულია ხსენებულ ოთხ სვეტზე გადაგდებულ ძირითად თაღებს ზემოთ არსებულ დამატებით თაღებზე დაყრდნობილი აფრების საშუალებით. ყოველივე ეს გვიანდელი გადაკეთების შედეგი უნდა იყოს; აფრების ნაცვლად აქ თავდაპირველად ტრომპების სისტემა იყო გამოყენებული.



ტაძარს სამი შესასვლელი-კარიბჭე აქვს — დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა. დასავლეთის კარიბჭე უშუალოდ ამ მხარესვე არსებულ სტოას ებმის, რომლის ზემოთ, მეორე სართულზე, მოწყობილია ეკლესიის წინამძღვრის საცხოვრებელი სენაკი. დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭე ძველია, ტაძრის შენობის დროინდელი. ჩრდილოეთისას კი განახლება განუცდია, რაზეც თუნდაც აგურის ლავგარდანი მიუთითებს. ტაძრის ხუროთმოძღვრული ფორმებიდან არსებით ყურადღებას იპყრობს გუმბათქვეშა საყრდენები, თავისუფლად მდგარი, გეგმაში ჯვრული ფორმის ოთხი სვეტის სახით, აგრეთვე საკურთხევლის აფსიდის ნალისებური მოხაზულობა და ასეთივე ფორმის თაღები ინტერიერში.

საინტერესოა კარიბჭეებსა და სტოაში გამოყენებული ჯვრული კამარით გადახურვის თავისებური ხასიათი და ტრომპების სისტემის დადასტურება, როგორც გუმბათის აგებისა, ასევე სამხრეთის კარიბჭის გადახურვის შემთხვევაში. იყალთოს მთავარი ტაძრის ხსენებული თავისებურებანი, დღეს არსებულ, გვიანდელ გადაკეთებათა შედეგად შექმნილ ხუროთმოძღვრულ ელემენტებთან შეპირისპირებით მკვლევარებს VIII-IX საუკუნით დათარიღების საშუალებას აძლევს. ხოლო როგორც ირკვევა, მას განახლება-შეკეთება განუცდია ჯერ კიდევ XI საუკუნეში, რაზედაც ტაძრის წყობიდან ამოღებული და ამჟამად თელავის მუზეუმში დაცული ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები მიუთითებს, რომელიც თავისი მხატვრულ-სტილისტუ-

* ბემა — კედლის სიბრტყე ტრიუმფალური თაღიდან აფსიდისპირა სვეტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი თავისებურებებით XI საუკუნით არის დათარიღებული. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ჩვენში ტრადიცია არსებობს XII საუკუნის ცნობილი მოღვაწის და მოაზროვნის, კონსტანტინეპოლში (მანგანის აკადემიაში) განსწავლულის, დავით აღმაშენებელთან დაახლოებული პირის, მისი ეპიტაფიის დამწერისა და იყალთოს აკადემიის დამაარსებლის — არსენ იყალთოელის ზემოთ განხილულ ეკლესიაში დაკრძალვის შესახებ. ეს ამბავი გარკვეულ შუქს ჰფენს მონასტრისადმი ძველთაგანვე აღძრულ ინტერესსა და ყურადღებას.

როგორც საბოლოო კვლევა-ძიებამ გაარკვია, საკუთრივ აკადემიის შენობად მიჩნეული გრანდიოზული ნაგებობაც VIII-IX საუკუნეებში უნდა ყოფილიყო აგებული, ხოლო შემდეგ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავების პერიოდში დაუკავშირდა არსენ იყალთოელის სახელს. იგი მონასტრის ეკლესიების სამხრეთით მდებარეობს, რომლის გრანდიოზული, რიყის ქვის წყობით ნაგები ნანგრევები დღესაც იპყრობს მნახველის ყურადღებას. აკადემიის ორსართულიანი შენობა ძლიერ სადადაა გაფორმებული. მისი ძირითადი სამკაულია ნაგებობის მასშტაბურობა, პროპორციულობა და აღმოსავლეთის ფასადზე მოცემული რვა წახნაგა სვეტით გამოცალკავებული წყვილი სარკმელი. ამ შენობის თაღები ნახევარწრიული მოხაზულობისაა. გალერეები გადახურულია ჯვრული კამარებით. იყალთოს აკადემია თავისი სტილისტურ-ტექნიკური ფორმებით, ერთის მხრივ, გარკვეულად დაკავშირებულია VIII-IX საუკუნეების ფეოდალურ სასახლეთა ხუროთმოძღვრულ თავისებურებებთან, ხოლო მეორე მხრივ, გელათის მონასტრის ანსამბლში დადასტურებულ ვეებერთელა ერთსართულიან ნაგებობასთან, რაც ერთი და იგივე დანიშნულებით არის ახსნილი.

ი. ჯანდიერი

სწორი პასუხები გამოგზავნეს: თელავის მე-4 საშ. სკოლის მოსწავლე ერეკლე ჯიჯაშვილმა, დმანისელმა მოსწავლემ მარინე ფეტვიაშვილმა, იყალთოს საშ. სკოლის მოსწავლეებმა მაია შიშმანაშვილმა და თემურ შათირიშვილმა, თელავის მე-6 საშ. სკოლის მოსწავლე ვაჟა არზუმანოვმა, რუისპირის საშ. სკოლის მოსწავლე თამარ დალაქიშვილმა.

რატომ არ ყყვარა ოქროს ბეჭედი

ჩინური ხალხური ზღაპარი

იყო ერთი ღარიბი კაცი, არაფერში ბედი არა სწყალობდა: დათესავდა ბრინჯს, დადგებოდა გვალვა და მოსავალს სულ დაუღუპავდა. დათესავდა ბარდას, ჩიტები გაუკენკავდნენ, წავიდოდა სათევზაოდ — ნავი გადაუბრუნდებოდა. ასეთი უიღბლო კაცი იყო. მეზობლებიც უბედურს ეძახდნენ.

ერთხელ მინდორში იმ ღარიბმა კაცმა სპილენძის ბეჭედი იპოვნა. ჩვეულებრივი სპილენძის ბეჭედი იყო, ოღონდ ზედ ურჩხული და ყანჩა იყო ამოკვეთილი. შინ, რომ მოვიდა, ბეჭედი ფანჯრის რაფაზე შემოდო, თვითონ კი დასაძინებლად დაწვა. ამ უბედურ კაცს ძაღლი და კატა ჰყავდა. ისინი მეგობრულად ცხოვრობდნენ, არასოდეს არ ჩხუბობდნენ.

მთვარე ამოვიდა, ფანჯრის რაფაზე შემოდებული სპილენძის ბეჭედი გაანათა. ძაღლმა ბეჭედზე ურჩხული და ყანჩა რომ დაინახა, მივიდა, დაყნოსა, დაიწკმუტუნა და კუდი გაიქნია.

— მეგობარო, ეგრე რა გიხარიაო? — ჰკითხა კატამ.

— ჩემო ძვირფასო ფისუნიავ, საიდუმლოს მხოლოდ შენ გაგანდობ: ჩვენმა პატრონმა ჯადოსნური ბეჭედი იპოვნა, ზედ ურჩხული და ყანჩაა ამოკვეთილი. ვისაც ეს ბეჭედი ექნება, იმის ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო.

მართლაც, მას აქეთ უბედურ კაცს ბედმა გაუღიმა. დათესა სიმინდი და ისეთი მოსავალი მოიწია, მეზობლები შურით სკდებოდნენ. სათევზაოდ წავიდოდა, თევზი თვითონ უხტებოდა ნავში.

დაიწყო ბედნიერად ცხოვრება. ბრინჯი არასოდეს გამოლევია. ყოველდღე გემრიელ საუზმესა და სადილს მიირთმევდა, ვახშმად ნორჩი ლერწმის მოხარშულ ყლორტებს შეექცეოდა.

უბედურ კაცს ბეჭედი მთლად დაავიწყდა, იდო და იდო ფანჯარაზე.

ეთხელ მისი ქოხის წინ მდიდარმა ჩამოიარა და გაიგონა, კატა რომ ეუბნებოდა ძაღლს: ფანჯრის რაფიდან თაგვმა ჯადოსნური ბეჭედი მოიტაცაო, ჩვენი ბატონი გაღარიბდება და ისევ შიმშილით სული ამოგვხდებაო.

ეშმაკი მემამულე უბედური კაცის ფანზაში შევიდა, მიესალმა სახლის პატრონს და უთხრა:

— ასი ლი გამოვიარე, რომ შენისთანა ჭკვიანი კაცი მენახაო.

ამაზე უბედურმა კაცმა მიუგო:

— როგორ მრცხვენია, ჩემს ღარიბულ ქოხში თქვენისთანა ღირსეული ბატონის სტუმრობაო.

დიდხანს საუბრობდნენ თავაზიანად. მდიდარი ღარიბს აქებდა, ღარიბი — მდიდარს. ასე ელაქუცებოდნენ ერთმანეთს საღამომდე. გამომშვიდობებისას მდიდარი მივიდა ფანჯარასთან და წამოიძახა:

— მეც მინდა ასეთი ბეჭედის ყიდვა, ძალიან მომწონსო.

— რას ამბობთ! — ხელები გაასავსავა უბედურმა კაცმა. — ეს უბრალო სპილენძის ბეჭედია. მე ნამდვილ ოქროს ბეჭედს გაჩუქებთო.

— ოქროს ბეჭედი არ მინდაო. — მიუგო მემამულემ. — ოქროს ბეჭედი ბევრი მაქვს, სპილენძისა კი არ გამაჩნია, ძალიან მინდა სპილენძის ბეჭედი მქონდესო.

— ინებეთ, ინებეთ! — ღიმილით უთხრა უბედურმა და ჯადოსნური ბეჭედი ეშმაკ მდიდარს თითზე წამოაცვა.

მიეფარა თუ არა თვალს მდიდარი, უბედურ კაცს ათასი უბედურება დაატყდა თავს. ყანაში ბრინჯი ჩიტებმა გაუკენკეს, ნავი ზღვის ტაღლებმა გაიტაცა, ფეტვი დაისეტყვა, ღამით კი კერიიდან ნაპერწკალი გამოვარდა, ჭილობს დაეცა და სახლს ცეცხლი გაუჩნდა. კიდევ კარგი, ამ დროს ძაღლმა დაიყეფა და გააღვიძა უბედური კაცი, თორემ ქოხი მთლად გადაეწვებოდა. დღითი დღე საქმე სულ უკან და უკან მისდიოდა.

ერთხელ ძაღლმა უთხრა კატას:

— ჩვენს ბატონს ჯადოსნური ბეჭედი უნდა დავუბრუნოთ, თორემ შიმშილით სული ამოგძვრება. წავალ, გაიძვერა მდიდარს მოვძებნიო.

ძაღლი მიჰყვა მის კვალს. უკან კატა მისდევდა. ირბინეს, ირბინეს და უცებ შეჩერდნენ. გზა მდინარემ გადაუღობათ.

— რა მეშველება, მე რომ ცურვა არ ვიცი! — დაიკნავლა კატამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზურგზე შემაჯექ და მეორე ნაპირას გადაგიყვანო. — უთხრა გულადმა ძაღლმა. კატა შეაჯდა ძაღლს ზურგზე და გაცურეს. დიდი მდინარე იყო.

აზვირთებულ, ყინულივით ცივ წყალში საწყალ ძაღლს ძალ-ღონე ეცლებოდა, მაგრამ მაინც მიცურავდა. ძალიან უნდოდა თავისი პატრონისათვის ეშველა.

აი, გავიდნენ ნაპირზე. ძაღლმა ცოტა დაისვენა და ისევ გაიქცა წინ. ძაღლს უკან კუდაპრეხილი კატა მისდევდა.

დაღამებისას მდიდრის სახლამდე მიაღწიეს და ფანჯრის ქვეშ დაიმალნენ. მდიდარმა დაწოლის წინ თითიდან ჯადოსნური ბეჭედი წამოიძრო, ყუთში შეინახა და გასაღებით დაკეტა.

— არა უშავს, — თქვა კატამ, — თაგვს დავიჭერ, ყუთს გამოღრღნის და ბეჭედს გამოგვიტანსო. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჭკვიანმა კატამ თქვა.

თაგვი შეიძვრა ყუთში და კატას მიუტანა სპილენძის ბეჭედი. სტაცა კატამ ბეჭედს თათი, პირში ჩაიდო და შინისაკენ მოკურცხლა. ახლა წინ კატა მირბოდა, უკან კი ძაღლი მისდევდა. მიირბინეს მდინარემდის, — კატა ისევ შეახტა ძაღლს ზურგზე.

მდინარე ღელავდა, აზვირთებულ ტალღებს მოაგორებდა. საწყალ ძაღლს ძალა გამოელია.

კატა კი აჯდა ზურგზე და აჩქარებდა:

— აბა, ჰე, გასცურე, ნუ ზოზინობ!

გამოვიდა ძაღლი ნაპირზე, გაწვა ქვიშაზე და ეუბნება:

— ცოტა დავისვენოთ, თორემ ძალიან დავიღალეო.

— კარგი, დაიძინე, მე კი გიდარაჯებო! — უთხრა კატამ.

ძაღლს ჩაეძინა თუ არა, კატამ შინისაკენ მოკურცხლა.

უბედური კაცი იჯდა დაცხავებული ქოხის წინ და ცხარე ცრემლებით ტიროდა: ერთი ტომარა ბრინჯის მეტი არა მებადა რა და, ისიც ქურდებმა მომპარესო.

კატა შეხტა ფანჯარაზე, დადო ბეჭედი ძველ ადგილას და პატრონს უთხრა:

— ნუ ნაღვლობ, აი, შენი ბეჭედი! ეს ბეჭედი ჯადოსნური ბეჭედია, ბედსა გწევსო.

გაუხარდა უბედურ კაცს, მოეფერა კატას, რძე დაალევინა. დალია კატამ რძე, თათით პირი მოიწმინდა და უთხრა:

— ყველაფერი ძაღლის ბრალია: მდიდარს ამ ჯადოსნური ბეჭედის არსებობა იმან გააგებინაო.

განრისხდა უბედური კაცი ძაღლზე. ამასობაში ძაღლმაც მოირბინა, ღარიბმა აიღო დიდი კეტი და ერთი თუ ორი სდრუზა და სდრუზა ძაღლს.

— ესეც შენ! ესეც შენ! მდიდარს ბეჭდის ამბავი რათ უთხარიო!

კატა კი ამ დროს იჯდა ცეცხლთან და ამბობდა:

— მდინარეში უნდოდა დავეხრჩე, რომ შენთვის ბეჭედი არ მომეტანაო. ვეღარ მოითმინა ძაღლმა, დაჰყეფა, მივარდა კატას კბილებდაკრეჭილი და დაუწყო გლეჯა. კატამ დაიკნავლა და ბრჭყალებით თავში ჩააფრინდა. მაგრამ ძაღლმა აჯობა. ჩაავლო კბილები და კინაღამ დაგლიჯა მატყუარა კატა. კატამ ძლივს დაიხსნა თავი.

ამის შემდეგ ძაღლი და კატა ერთმანეთს მტრობენ.

ძაღლი კატას მუდამ უღრენს, კატა კი ცდილობს ძაღლს თვალები ამოკაწროს.

თარგმნა ანა ნემსაძემ.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

სახტუნელა

ტომსიკით ვარჯიშის შემდეგ, რომლის შესახებაც უკვე მოგიყევით გასული თვის „პიონერში", გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო და იოლ ვარჯიშს, სახტუნელათი.

1. ორადმოკეცილი სახტუნელათი იატაკს შეეხე. გაიმართე, სახტუნელა გაჭიმე, ცერებზე აიწიე, ღრმად ჩაისუნთქე. გააკეთე რვაჯერ.

2. იატაკზე დაჯექი. ორადმოკეცილი სახტუნელა გადაატარე და გადმოატარე მუხლებში მოხრილ ფეხებზე. გააკეთე რვაჯერ.

3. ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადაიხარე და თან ორადმოკეცილი, გაჭიმული სახტუნელა თავსუკან გადაატარე. გააკეთე რვაჯერ.

4. სახტუნელა მუჭებში მოიმწყვდიე, ხელები წინ გამართე, სახტუნელას ხელი უშვი და ფეხით დაიჭირე, ასაღებად დაიხარე და ამოისუნთქე. გაიმეორე რვაჯერ.

5. ორადგაკეცილი სახტუნელა გაჭიმული ხელებით ზურგსუკან გადაიტანე. ტანი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მიაბრუნე. გააკეთე რვაჯერ.

6. სახტუნელა მუჭში მოიქციე. ფეხებმიტყუპებულმა თითის წვერებზე იხტუნე და ყოველი ახტომისას სახტუნელა მაღლა ააგდე, დახტომისას კი ბურთივით დაიჭირე. გაიმეორე 70-50-ჯერ.

7. იარე. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მუჭში მოქცეული სახტუნელა მაღლა ააგდე და მერმე დაიჭირე. გააკეთე 40-50-ჯერ.

1

2



3



4

5

6

7

საინტერესო ამბები

მსაჯულები და მსჯავრდადებულები

ტიროლის ერთ-ერთ საოლქო სასამართლოში სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. ასამართლებდნენ ბოროტმოქმედებს, რომელნიც „ისე თხრიდნენ და ჩიჩქნიდნენ მიწას, რომ ზედ არც ბალახი და არც სხვა რამ აღარ ხარობდა".

სასამართლომ გაითვალისწინა მიწათმოქმედთა სარჩელი და ბოროტმოქმედებს პასუხი მოსთხოვა. დამნაშავეთა დამცველი ძნელი ამოცანის წინაშე იდგა — მას უნდა დაეცვა... მინდვრის თაგვები. იგი ძალზე კეთილსინდისიერად მოეკიდა საქმეს, აღიარა თაგვების დანაშაული, მაგრამ სასამართლოს სთხოვა გაითვალისწინებინა სასჯელის შემამსუბუქებელი მთელი რიგი გარემოებანი, მაგალითად, ის, რომ თაგვები მუსრს ავლებენ მავნე მწერებს და სხვა. ცხადია დამცველის სიტყვას არ შეეძლო შეეცვალა განაჩენი, თუმცა ცოტა რამ მაინც გაკეთდა: მართალია, თაგვებს გაძევება მიუსაჯეს, მაგრამ დედათაგვებს და წრუწუნებს შეღავათი მისცეს — გასახლების ვადა ორი კვირით გადაუწიეს.

ეს მოგონილი ამბავი ან ანეგდოტი არ გეგონოთ. არა. ასეთი სასამართლო ძართლაც შედგა 1519 წელს. ის, რაც დღეს სრულიად წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაშინ სავსებით ბუნებრივი ამბავი იყო.

1585 წელს ალპების მიდამოებში ვაზს მავნე მწერი შეესია. ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შემდეგ შეიქმნა სათანადო კომისია, რომელსაც მწერების „გასასახლებელი" ადგილი უნდა შეერჩია. ბოლოს, როგორც იქნა იპოვეს ასეთი ადგილი, საზღვრები შემოფარგლეს, ლანდშაფტი აღწერეს. შედგა საგანგებო აქტი და მიწა სამუდამო სარგებლობისათვის მწერებს გადაეცათ. თითქმის ყველაფერი გაითვალისწინეს, მაგრამ ერთი „უბრალო" რამ გამორჩათ მხედველობიდან — მწერებმა არ ჰოისურვეს თავიანთი ადგილ-სამყოფელის გამოცვლა. არც კასაცია დაუწერიათ, არც საჩივარი, უბრალოდ, დარჩნენ, სადაც იყვნენ და გულმოდგინედ განაგრძეს ვენახების განადგურება.

სამართალში მარტო მწერები და თაგვები როდი იყვნენ ხოლმე მიცემულნი. შუა საუკუნეებში არაერთხელ მიუციათ სამართალში ძაღლები, კატები, ღორები, ხარები, ძროხები. დამნაშავენი არაერთგზის გამოუმწყვდევიათ ციხეში; ეს კი არა და, გამოტეხის მიზნით, უწამებიათ კიდეც.

როგორც წესი, ამ ფარსის ინიციატორი ეკლესია იყო. ყოველივე ცოცხალი ხომ ღვთის გაჩენილია, ამიტომ მათ სულიც აქვთ, გონებაც და, კეთილ ინებონ, პასუხი აგონ თავიანთ საქციელზეო. შთაბეჭდილება რომ გაეძლიერებინათ, ცხოველებს ხშირად ადამიანის ტანსაცმელში გამოაწყობდნენ ხოლმე. საფრანგეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, 1490 წელს, ღორის დასჯისას, ზარების რეკა ატეხეს.

რისთვის ისჯებოდნენ საცოდავი ცხოველები? ღორები — რომელთაც განსაკუთრებით ხშირად უწევდათ სამსჯავრო სკამზე ჯდომა — ძირითადად ბავშვების მკვლელობისთვის ისჯებოდნენ. ეს გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ XVII საუკუნემდე ევროპაში ღორები თავისუფლად დაწანწალებდნენ ქუჩებში და მეეზოვეების მოვალეობას ასრულებდნენ. ჰოდა, ამ ხეტიალში წააწყდებოდნენ ბედის ანაბარად მიტოვებულ ქოხს და ასახიჩრებდნენ, ან სულაც ჭამდნენ უპატრონოდ მიტოვებულ ჩვილ ბავშვებს. სიღატაკით გამოწვეული ტრაგედია ოინბაზობით — საეკლესიო სასამართლოთი მთავრდებოდა. იქ ბოროტმოქმედნი საკადრის სასჯელს იღებდნენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ ეს ეკლესიის მსახურთ სჭირდებოდათ, დაშნაშავეს სასჯელს უმსუბუქებდნენ და ღორს რომელიმე ეკლესიის ან „საეპისკოპოსო საღორეში“ გადააბარგებდნენ.

ძაღლებს, ჩვეულებრივ, ადამიანის კბენისათვის ასამართლებდნენ. ძაღლს იმის მიხედვით სჯიდნენ, ვინ იყო პატრონი და ვინ — დაკბენილი. მოსამართლეს აქ სრული თავისუფლება ჰქონდა. უპატრონო ან ღატაკთა ძაღლები სასტიკად ისჯებოდნენ. მდიდართა ძაღლებს კი, მცირე სასჯელს აკმარებდნენ ხოლმე.

„ნაუკა ი ჟიზნ“.

უხილავი ფრონტის მებრძოლები

ამ ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში გამოჩენილ საბჭოთა მზვერავებზე ბევრი დოკუმენტური მასალა თუ მოთხრობა გამოქვეყნდა. ამ წიგნებმა თუ

ნერილებმა არა თუ ჩვენი მკითხველის, არამედ უცხოელ მკითხველთა ყურადღებაც მიიპყრო. ახლახან „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მეტად საინტერესო კრებული, რომელშიაც გაერთიანებულია უხილავი ფრონტის — სამშობლოსათვის ჭეშმარიტად თავდადებული ადამიანების — ცხოვრების ამსახველი მრავალი მასალა. აქაა, ლეგენდად ქცეული რიჰარდ ზორგეს გმირული ბიოგრაფია, ცნობილი მწერლის ვადიმ კოჟევნიკოვის მოთხრობა — „ერთი კვირით ადრე ომის დაწყებამდე“, გ. დროზდოვისა და ა. ევსეევის — „ორი წელი უფსკრულის პირას“ და სხვა. ვფიქრობთ, ყველა თქვენგანი ინტერესით წაიკითხავს ამ წიგნს, მით უმეტეს რომ ზოგიერთი გმირის ცხოვრებას თქვენ ეკრანიდანაც იცნობთ.

პეტრას ცვირკა

მიწა — მარჩენალი

პეტრას ცვირკა თანამედროვე ლიტველი მწერალია, ეს წიგნი მის საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება.

„მიწა — მარჩენალი“ ლიტვაში მეფის ხელისუფალთა გადაგდებასა და ბურჟუაზიული წყობის დამყარების ამბებს მოგვითხრობს; მწერალი გვიხატავს ღარიბი გლეხის, ტარუტისის სახეს. იუროსი თვითონ იბრძოდა ლიტვის რესპუბლიკის დამცველთა რიგებში, მომავალს იმედის თვალით უყურებს. მაგრამ გამრჯე გლეხს სიღარიბისათვის თავი ვერ დაუღწევია, ძველი ბატონები ახლებმა შეცვალეს, მევახშე იარმალა და მისი დამქაშები დაპატრონებიან სოფელს.

ჯემალ ნინუა

მშვიდობით, ვილიანა!

ამ მოთხრობის რამდენიმე თავი შარშან ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა. ახლა „ნაკადულმა“ ჯ. ნინუას ეს წიგნი ცალკე გამოსცა. „მშვიდობით, ვილიანაში!“ ნამდვილი ამბავია აღწერილი. იგი ბულგარეთში ხდება, 1969 წელს. იმ წელს ბულგარელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ფაშისტური უღლიდან განთავისუფლების 25 წლისთავი. „სექტემბრელებმა“ — ბულგარელმა პიონერებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს რესპუბლიკის დაარსების და მათი ორგანიზაციის შექმნის 25 წლისთავი. ამ დიდ ზეიმში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ბავშვებთან ერთად ქართველი მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. ავტორი ამ დელეგაციის ხელმძღვანელი იყო. სწორედ იქ მოისმინა მან ბავშვების ნაამბობი მრავალი საინტერესო ამბავი, რომელიც შემდეგ გელა წერეთლის პირით თქვენ მოგითხროთ.











გაჭიუტებული საჭვალავი თუ ვერ ამოხრახნო, ყელის ანასერში სახრახნისი მოარგე, შემდეგ სახრახნისს ფრთხილად დაჭკარი ჩაქუჩი და თანაც ნელ-ნელა შემოაბრუნე. საჭვალავი იოლად ამოიხრახნება და ყელიც არ გაფუჭდება.

ჭიკარტს ქვეშ ამოუდე პატარა, 30-40 მმ. სიგრძის ნაჭერი. სახაზავ ქაღალდს ჭიკარტის თავი აღარ დააზიანებს და ჭიკარტის ამოძრობაც გაგიადვილდება.

თუ გინდა, რომ სახელოსნოს ფართობი კარგად გამოიყენო, მექანიზმები ასაკეც ფიცარზე დაამაგრე. ერთ საქმეს რომ დაამთავრებ, ფიცარს აკეცავ და სხვა საქმიანობას განაგრძობ.

ცნობილი ამბავია: ბირდაბირს ორი ადამიანი ეწევა ხოლმე. მაგრამ, თუ მეწყვილე არა გყავს, მაშინ? მაშინ ხერხის სახელურებს შორის ხის ლატანი უნდა ჩაამაგრო, ხერხი აღარც მოიღუნება და აღარც იხტუნებს.

სარეცხის გასაფენ თოკს ბოლოებით კედელს მიამაგრებენ და მაგრად გამოსკვნიან. თოკი სველდება, ჩამოიძენძება. ხელახალი გაჭიმვა სჭირდება. ყულფის გამოხსნა კი ძნელდება. ამიტომ კედელზე რკინის კილო მიამაგრე, თოკს სარაზი ჩანგალი გამოაბი და შიგ ისე ჩაამაგრე.

განჯინის სახელური იოლად შეიძლება შეიცვალოს კბილის სახეხი პასტის თავსახურავით.

სარჩევი

პრილეშაევა მ. — შემთხვევა სოკოლნიკაში (მოთხრობა) . 1
შამფრიანი ს. — დიდი ზეიმის წინ (ნარკვევი) 3
ივარდავა დ. — გაზაფხულის ბანგები და ფერადები (ლექსები) 7
ბაბატაძე კ. — ფრესკა (მოთხრობა) 8
ჩვენთან სტუმრადაა ბელორუსიის საბავშვო ყურნალი „ბიაროზკა“.
ნეიდრა ნ. — ჩვენი ფრთები (წერილი) 15
სტეპანოვი პ. მშობლიური, სათაყვანო მხარე (ლექსი, თარგმნა ნ. ნარსიამ. ალტუხოვი ნ. მეგობარს, სურათი ზღვასთან. (ლექსები, თარგმნა ნ. ნარსიამ). ვიტკა ვ. — გამარჯობა, ძმობილო! (ლექსი, თარგმნა ი. ქემერტელიძემ) ჩერვიაკოვი მ. მარადიულ ცეცხლთან (ლექსი, თარგმნა ნ. ნარსიამ). ნოვიკოვი ნ. — გათენდა (ლექსი, თარგმნა გ. ძნელაძემ). კისელი ა. — ლენინი იყურება კვარცხლბეკიდან (ლექსი, თარგმნა ნ. ნარსიამ). სმაგაროვიჩი მ. — ხატინი (ლექსი თარგმნა ნ. ნარსიამ)
ა. პეტროვიჩი — შეუდრეკელი ესპანეთის შვილი (წერილი)
პრიხოდკო პ. — გმირთა შიწა (ლექსი, თარგმნა გ. ძნელაძემ). სავიცკი ა. — მინის ძაფი. (მოთხრობა.) ანოშკინი ი. — ურჩი მძიმეები (იუმორესკა), იაკიმოვი ა. — ნაცნობი კაცები (ზღაპარი) 14
ალხაზიშვილი გ. — ახალი ლექსები 23
კარბელაშვილი ა. — ენგურჰესზე მეოცნებე (წერილი) . . 25
ჯანდიერი ი. — იყალთოს აკადემია (წერილი) 26
რატომ არ უყვართ ძაღლებს კატები — ჩინური ხალხური ზღაპარი (თარგმნა ა. ნემსაძემ) 28
სპორტი 30
საინტერესო თემაზე 30
ახალი წიგნები 31
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ოთარ ჩხარტიშვილს.
გარეკანის მეორე გვერდზე — პლაკატი რ. ბოჭორიშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია ფელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 აბონენტების—93-97-0 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 14/II-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-72 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 574. ტირ. 124.065. უე 01780.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ცურვის სახეობა; 2. ნაწარმოების მთავარი აზრი; 3. ვარსკვლავთა ერთ-ერთი ცრეგული კუროს თანავარსკვლავედში; 4. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 6. ქალაქი გფრ-ში მდ. დუნაიზე; 7. სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი; 8. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 11. სახელმწიფო ევროპაში; 12. კედელზე ან სვეტზე მიდგმული კაციის ქანდაკება რომელსაც თითქოს ეყრდნობა ჭერი; 13. ქალაქი ჩინეთში; 16 დადებითად დამუხტული ელექტროდი; 19. ფილიპინების დედაქალაქი; 23. ჰავაის კუნძულთა ჯგუფის კუნძული; 24. მდინარე საქართველოში; 27. ნადნობის მინერალური ნარჩენი; 28. ჩამქრალი ვულკანი იტალიაში.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 1. შინაური ცხოველი; 5. ჰაიტის დედაქალაქი; 9. ადამიანის ერთგული ცხოველი; 10. ტბა ჩინეთში ქ. სიაგუანთან; 13. დაუყოვნებლივ, სწრაფად, ანუ? 14. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ნელი ტემპით სრულდება; 15. მდინარე ვოლგის შენაკადი; 17. ტყის ვარდი; 18. შედარებითი სიმაღლეების გამოსარკვევი ხელსაწყო; 20. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 21. მინერალური წარმოშობის ფისისებრი ნივთიერება; 22. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 25. მთიანი მხარე სსრკ-ში; 26. ბოსტნეული; 29. ინდონეზიის კუნძულთაგანი; 30. ჯარების შენაერთი.

თამაზ სიმონიშვილი,
ქ. გორის მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლე.

აპრილი

თვის სახელწოდება ახალ წელთაღრიცხვასთან ერთად ლათინური ენიდან შემოვიდა — „აპრერიე“ — გაღება — ე. ი. მიწა მცენარეებს უღებს კარსო.

ძველ რომში აპრილის თვე მიწათმოქმედების ღვთაების — ცერერასადმი იყო მიძღვნილი. მოგვიანებით ეს ღვთაება ოჯახისა და ცოლ-ქმრობის ღვთაებადაც იქცა. მას გამოხატავდნენ ლამაზ ქალად, რომელსაც ხელში ჩირაღდანი ეჭირა და თავზე თავთავისაგან მოწნული გვირგვინი ედგა.

ცერერასადმი მიძღვნილ დღესასწაულს თესვის დაწყებისას მართავდნენ. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი რომაელები ქალღმერთს ძროხებსა და ღორებს სწირავდნენ, თუმცა, ღარიბებს სამი თავი ნიორიც შეეძლოთ შეეწირათ. ქურუმები ღმერთს შესთხოვდნენ დაეცვა ნათესები და უხვი მოსავალი მოეყვანა. შემდეგ დღესასწაული ცირკში გრძელდებოდა. ათასგვარ გართობათა შორის ერთი ასეთიც იცოდნენ: მელიას კუდზე ანთებულ ჩირაღდანს გამოაბამდნენ და ისე არბენინებდნენ. რომაელები ფიქრობდნენ, რომ ამ სიმბოლური აქტით ნათესებს ხანძარს აარიდებდნენ.

თბილისში საშუალო თვიური ტემპერატურა აპრილში +11,8 გრადუსია. მაქსიმალური იყო 1944 წელს +29, მინიმალური -3 (1923 წ.). მოსკოვში საშუალო თვიური ტემპერატურა უდრის +3,7 გრადუსს. მაქსიმალური აღინიშნა 1950 წელს +27 გრადუსი, მინიმალური -19 გრადუსი (1931 წ.). იაკუტსკში საშუალო თვიური ტემპერატურა -7,4 გრადუსია, მაქსიმალური +9 (1950 წ.). მინიმალური -40 გრადუსი (1917 წ.). ნოვოსიბირსკში საშუალო თვიური ტემპერატურაა -0,4 გრადუსი, მაქსიმალური + 25 (1932 წ.). მინიმალური -31 (1927 წ.).

შარადები

1.

საამოდ აწკრიალდა,
სკოლისკენ გიხმობს იგი,
შარადისათვის წინა
ნაწილი არის რიგით.
ახლა მეორე სიტყვა
გამოიცანი აბა:
ცას შესდგომია მხრებით
ბარს გადმოჰყურებს დაბლა.
მერე კი პირველ სახელს
ჩაუსვი მარცვლებს შორის, —
რომელი დროა წლისა,
პასუხი მითხარ სწორი.

2.

ხეზე რომ ლაღად შრიალებს,
თუ იცი მისი სახელი,
მაშინ იმ სიტყვას პირველი
მარცვალი გამოაკელი.
მერე დანარჩენს სხვა ბგერა
შუაში ჩაემატება, —
მოსვლა თუ დააგვიანა,
უთუოდ მოგენატრება.

შ. ამირანაშვილი.

პასუხი № 3-ში
მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. დათვი; 2. ნარვა; 3. ილინი; 4. დიხსუ; 5. ნისია; 6. აბაზი; 8. მოსკოვი; 9. ნოატაკი; 14. რომი; 16. ლინი; 17. ვენა; 18. აზია; 19. იავა; 20. არია; 22. პელე; 24. ტელემბა; 25. რაინერა; 27. მერი; 28. ლვოვი; 29. სუეცი; 30. ომანი; 31. კაუაი; 32. ლიმფა; 33. არალი.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 1. დუნაი; 4. დანია, 7. ლამანში; 10. თართი; 11. ხოსტა; 12. სკა; 13. ირანი; 15. ურალი; 17. ვისლა; 18. ანილინი; 19. იონია; 21. ასლი; 23. არტერია; 26. ასთმა; 28. ლესკო; 31. კალია; 34. მზე; 35. ომახა; 36. ურმია; 37. ნიაგარა; 38. ირი; 39. იმამი.

ერთი ღღე ცხოველთან ერთად